ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

გეგენავა დ., სტუდენტური თვითმმართველობების სამართლებრივი მიმოხილვა, თბილისი, 2011

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების

საჯარო სამართლის კვლევითი ინსტიტუტი

დიმიტრი გეგენავა

სტუდენტური თვითმმართველობების

სამართლებრივი მიმოხილვა

დამხმარე სახელმძღვანელო

თბილისი

2011

„სტუდენტური თვითმმართველობების სამართლებრივი მიმოხილვა“ შეეხება სტუდენტური თვითმმართველობების სამართლებრივ სტატუსს, მათ სამართლებრივ ბუნებას, ნაშრომში განხილულია როგორც საქართველოს, ისე ევროპის სახელმწიფოთა გამოცდილება.

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია იურისტებისათვის, სტუდენტებისა და განათლების სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

რედაქტორი: **პროფ. დოქტ. პაატა ტურავა**

ტექნიკური რედაქცია: **მარიამ კეშელავა**
მირანდა გოგილაშვილი
ზურაბ ბეჟაშვილი

დიზაინი: **ზურაბ ბეჟაშვილი**
დიმიტრი გეგენავა

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა
საზოგადოების საჯარო სამართლის
კვლევითი ინსიტიტუტი

© დიმიტრი გეგენავა, 2011

შინაარსი

წინათქმა 5

თავი I სტუდენტთა თვითმმართველობა სამართლებრივი ინსტიტუტი 7

§1. თვითმმართველობის არსი 7

§2. „სტუდენტთა თვითმმართველობა“ და „სტუდენტური თვითმმართველობა“ - ცნებათა მნიშვნელობა 13

§3. სტუდენტთა თვითმმართველობის სამართლებრივი ბუნება 16

§4. ქართული კანონმდებლობა სტუდენტთა თვითმმართველობის შესახებ 19

თავი II სტუდენტთა თვითმმართველობის მიზნები 22

§1. ზოგადი მიზნები 22

§2. სტუდენტთა წარმოდგენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასა და მესამე პირებთან ურთიერთობებში 23

§3. სტუდენტთა უფლებების დაცვა 25

§4. მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში 27

§5. სტუდენტთათვის კვალიფიციური განათლების მისაღებად აუცილებელი გარემოს შექმნის ხელშეწყობა 29

§6. სტუდენტთა შრომითი მოღვაწეობის, დასვენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება 31

თავი III. საქმიანობა და მისი განხორციელების წესი 33

§1. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განხორციელების წესი 33
§2. დაფინანსება 35
§3. თვითმმართველობის საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი 38
§4. საქმიანობის საჯაროობა და ინფორმაციის თავისუფლება 40
თავი IV. შემადგენლობა 42
§1. დაკომპლექტება 42
§2. არჩევნები 44
§3. წევრობა 55
§3.1. წევრის სტატუსის მოპოვება 55
§3.2. წევრის სტატუსის შეწყვეტა 56
§3.3. მანდატი 58
თავი V. სტრუქტურა და დებულება 60
§1. წარმომადგენლობითი ორგანოები 60
§2. აღმასრულებელი ორგანოები 67
§3. ხელმძღვანელობა და მესამე პირებთან ურთიერთობა 71
§4. დებულება 76
§5. სამართლებრივი აქტები 81
თავი VI. თვითმმართველობის მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში 85
§1. საფაკულტეტო დონე 86
§2. ცენტრალური (საუნივერსიტეტო) დონე 88
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობის დებულება 92

წინათქმა

განათლება და მასთან დაკავშირებული საკითხები ნებისმიერი განვითარებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს აქტიური ზედამხედველობის ქვეშაა, რის გამოც ხშირად იქცევა ხოლმე განხილვის საგნად.

საქართველოში 2004 წელს დაიწყო დიდი რეფორმის განხორციელების პროცესი უმაღლესი განათლების სფეროში, რის შედეგადაც უამრავი ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ ცნება დამკვიდრდა ჩვენს სინამდვილეში, რამაც თავდაპირველად გარკვეული უხერხულობა შექმნა, რაც გასაკვირი არც უნდა იყოს. მანამდე არსებული სისტემა რადიკალურად განსხვავდებოდა ბოლონიის პროცესის მიმდინარეობისა და მოთხოვნებისაგან.

2004 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომელშიც მოცემული გახლდათ სტუდენტთა თვითმმართველობების ცნება. ახალი ინსტიტუტის შემოსვლა ყველამ სხვადასხვაგვარად აღიქვა. ერთგვარად საეჭვოც კი იყო, თუ რამდენად გაამართლებდა ეს უკანასკნელი, თუმცა დღეის გადმოსახედიდან თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტთა თვითმ-მართველობებმა არათუ გაამართლა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ მის ორგანულ ნაწილადაც კი იქცა.

ახალი სისტემის მიღების პარალელურად მნიშვნელოვანი პრობლემებიც წარმოიშვა, რაც ძირითადად უკავშირდება სტუდენტთა თვითმმართველობის სამართლებრივ ბუნებას, მათ ურთიერთობებს მესამე პირებთან და დაფინანსების საკითხს. მსგავსი სირთულეების წარმოშობა სრულიად ლოგიკური და ბუნებრივია, ვინაიდან საზოგადოების ყურადღება ამ ინსტიტუტის მიმართ არ შენელებულა.

არ არსებობს სტუდენტთა თვითმმართველობების ერთიანი მოწესრიგება, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპებს გააერთიანებს და საერთო იქნება ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. თუმცა ძნელი

სათქმელია, არსებული სიტუაცია უარყოფითი მოვლენაა თუ დადებითი, ვინაიდან თავად სტუდენტთა თვითმმართველობების სტატუსი იმდენად თავისუფალია შეზღვუდვებისა და კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოებისაგან, რომ ზედმეტი მოწესრიგებისგან სრულიად შესაძლებელია ამ ინსტიტუტის არსი შეილახოს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს სტუდენტთა თვითმმართველობები დაწვრილებით და შექმნას ერთგვარი სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება მათ თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე მნიშვნელოვნად წაადგება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უკეთ გაერკვნენ ამ მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტის არსსა და დანიშნულებაში.

თავი I სტუდენტთა თვითმმართველობა

სამართლებრივი ინსტიტუტი

§1. თვითმმართველობის არსი

სტუდენტთა თვითმმართველობის არსისა და რაობის განსაზღვრისას არ შეიძლება დავეყრდნოთ მხოლოდ ამ ინსტიტუტის სამართლებრივ მოწესრიგებასა და პოზიტიურ კანონმდებლობას, აუცილებელია დამატებით მეცნიერულ-თეორიული ანალიზი და ზოგადი განსაზღვრების ჩამოყალიბება.

სტუდენტურ თვითმმართველობაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით თვითმმართველობის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის იდეას, რომელიც სხვადასხვა სფეროში, მდგომარეობაში არსებობს და სამართლებრივი სისტემების განუყოფელი ნაწილია. თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუტის გამოვლინებაა ადგილობრივი თვითმმართველობებიც, ასევე მოსწავლეთა, მოსამართლეთა, სპორტსმენთა თვითმმართველობები და ა.შ.

თვითმმართველობის იდეა სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპების პრაქტიკული რეალიზაციაა,[1] რომელიც გულისხმობს პირთა მიერ მმართველობის დამოუკიდებლად განხორციელებას გარკვეულ დონეზე, საქმიანობის გარკვეულ სფეროში.[2] მისი არსებობა განპირობებულია ხელისუფლებათა გამიჯვნითა და უფლება-მოსილებათა რაციონალური, ფუნქციური განაწილებით.[3] თვითმმართველობა ხალხის ძალაუფლების გამოხატვის საშუალებაა, რომელიც გარკვეულწილად თვითორგანიზებასა და

---

[1] ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008, 373

[2] Старцев Я.Ю, Государственное и муниципальное управление в зарубежных странах, Курс лекций, 5

[3] იქვე

გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებასთან ასოცირდება.[4] თავის მხრივ ინსტიტუტი თავადაა სახელმწიფოში სტაბილურობის, წინსვლისა და სრულყოფის გარანტია, ვინაიდან მმართველობა ხორციელდება პრინციპით: ქვევიდან ზევით, რაც თავის მხრივ კომპეტენციათა გამიჯვნის საფუძველია.[5]

თვითმმართველობის კლასიკური ინსტიტუტის წარმოშობას საფრანგეთის რევოლუციას უკავშირებენ, როდესაც ჩამოყალიბდა თვითმმართველობის კლასიკური ინსტიტუტი და ცნება, რომელიც განიმარტა როგორც საზოგადოების დამოუკიდებლობა და ნების თავისუფლება სახელმწიფოსთან (როგორც ინსტიტუტთან) მიმართებაში.[6]

თვითმმართველობის იდეაში უნდა ვეძიოთ ნებისმიერი კონკრეტული სპეციალიზებული თვითმმართველობის არსი, ანუ ნებისმიერი თვითმმართველობა ეს არის გარკვეული დამოუკიდებლობა, ნების თავისუფლება, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება და ფუნქციების დარგობრივი გამიჯვნა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ სტუდენტური თვითმმართველობის რაობაზე, როგორც სტუდენტების გაერთიანების, სტუდენტური საზოგადოების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირების მიმართ, რომლის მიზანია სტუდენტების უფლებების არა მარტო დაცვა, არამედ მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი, რომელიც სწორედ სტუდენტთა თვითმმართველობების საკითხს ეხება, არ გვაძლევს ამ ინსტიტუტის სამართლებრივ განსაზღვრებას. იგი ამ ინსტიტუტის დაკომპლექტების, უფლებებისა და ადმინისტრაციის მხრიდან

---

[4] Муниципальное Право, Под редакцией *А. М. Никитина*, Москва, 2000, 109

[5] ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბილისი, 2002, 7

[6] Муниципальное Право, Под редакцией *А. М. Никитина*, Москва, 2000, 110

ჩაურევლობის, აგრეთვე მოქმედების თავისუფლების შესახებ ზოგად მოწესრიგებას გვთავაზობს. ამგვარი მოწესრიგებიდან გამომდინარე, ინსტიტუტის განსაზღვრების დადგენის ყოველი მცდელობა შესაბამისობაში უნდა იყოს ზემოთმოცემული ნორმის დებულებებთან და არსობრივად გამომდინარეობდეს მისგან.

სტუდენტთა თვითმმართველობა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი არ არის მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულება, ვინაიდან აღნიშნული კანონის ნორმის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე.[7] შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ სტუდენტური თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუტის არსებობა არაა სავალდებულო კერძო სამართლის იურიდიულ პირად არსებული უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების მიმართ. ეს უკანასკნელიც სხვათა მსგავსად ვალდებულია, გაითვალისწინოს იგი თავის სტრუქტურაში.[8]

თვითმმართველობა უნდა განვიხილოთ ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მიზნობრივი კუთხით, ვინაიდან ორივე მიდგომა მის განსხვავებულ, თუმცა საერთო ჯამში, მთლიან სახეს წარმოადგენს.

მიზნობრივი კუთხით თვითმმართველობა წარმოადგენს კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის თვითრეალიზაციის საშუალებას, უფლებას ამგვარი ფორმით გამოხატოს საკუთარი პოზიცია, ხელი შეუწყოს თავისი

---

[7] იხ: "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

[8] სახელმწიფოსათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია სტუდენტი, რომელიც სწავლობს სახელმწიფო უნივერსიტეტში და სტუდენტი, რომელიც კერძო სასაწავლებელში ირიცხება. სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა ორივეს წინაშე თანაბარია. შესაბამისად იგი ვალდებულია ერთნაირად უზრუნველყოს სტუდენტთა უფლებების დაცვა, განურჩევლად მათი სასწავლებლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

და სხვა სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალურ რეალიზაციას საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების პროცესში. ანუ მიზნობრივად, თვითმმართველობა სწორედ აქტიურ, თვითრეალიზაციის მსურველ სტუდენტთა გაერთიანებაა, რომელიც სტუდენტურ საზოგადოებაზე ფოკუსირდება მისგან და მისთვისაა შექმნილი.

შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ კიდევაც, რომ თვითმმართველობების არსებობის უპირველესი დანიშნულება სწორედ სტუდენტების თვითრეალიზაცია და პიროვნული განვითარების ხელშეწყობაა.

განსხვავებულია ორგანიზაციულ-სტრუქტურული მიდგომა ამ ინსტიტუტის მიმართ, ვინაიდან ამ შემთხვევაში, არა სტუდენტი, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის განმახორციელებელი სუბიექტი, არამედ მთლიანად თვითმმართველობა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ექცევა ყურადღების ცენტრში, რის გამოც იცვლება თავად ინსტიტუტის არსობრივი აღქმა.

სტუდენტის უფლებების რეალიზაციის პარალელურად თავად საგანმანათლებლო დაწესებულებაც „იღებს სარგებელს“ და აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტია აღსანიშნავი. უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაცია ახდენს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების მნიშვნელოვან დეცენტრალიზაციას სტუდენტებთან ურთიერთობების სფეროში. მას, როგორც სტუდენტის მიერ კვალიფიციური განათლების მიღების უზრუნველყოფა, ისე მისთვის შესაბამისი დასვენებისა და შრომითი შესაძლებლობების განვითარების პირობების შექმნა ევალება. სწორედ ამ ვალდებულებების ნაწილობრივი გადამისამართებაც სწორედ სტუდენტურ თვითმმართველობებზე ხდება.[9]

აღნიშნული ორგანოს შექმნითა და მისთვის გარკვეული თავისუფლებების მინიჭებით, უნივერსიტეტი ცდილობს

---

[9] აქ არ უნდა ვიგულისხმოთ უფლება-მოვალეობათა გადაცემა დელეგირება, ვინაიდან მსგავსი შემთხვევის არსებობისას იცვლება სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი და ბუნება.

სტუდენტის მიმართ არსებული არასაგანმანათლებლო ვალ-დებულებების შესასრულებლად კვალიფიციური დამხმარე სტრუქტურა შეიმუშავოს, რომელიც თავად სტუდენტების მიერ დაკომპლექტდება და ორიენტირებული იქნება სტუდენტების მიერ მათი უფლებების მაქსიმალური რეალიზაციისაკენ.

ამგვარი მეთოდის არსებობის მიუხედავად, არ შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტთა თვითმმართველობა უნივერსიტეტის მართვის ორგანო ან სტრუქტურული ერთეულია. იგი წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ ფორმას, შუალედურ რგოლს[10] სტუდენტსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას შორის. ამგვარი ფორმა სრულებითაც არ გამორიცხავს სტუდენტური თვითმ-მართველობის წარმომადგენლების მონაწილეობას უნივერ-სიტეტის მართვაში, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი უშუალოდ სტუდენტებს წარმოადგენენ და არა თვითმმართველობას, როგორც დამოუკიდებელ ორგანოს.

განსაზღვრების დადგენისათვის, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ და გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომლებიც ამ ინსტიტუტის ინდივიდუალურობას განაპირობებს.

უპირველეს ყოვლისა, სტუდენტთა თვითმმართველობა წარმოადგენს კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც, მართალია, საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილია, თუმცა მის მართვის ორგანოს არ წარმოადგენს.

მეორე, მნიშვნელოვანია გამოიყოს თავად თვითმ-მართველობის შიდაორგანიზაციული სტრუქტურისა და იერარქიულობის მომენტი, რომელიც მას, როგორც კონკრეტული მიზნებისათვის შექმნილ სტუდენტთა გაერ-თიანებას უნდა გააჩნდეს.

მესამე, დეფინიცია უნდა მოიცავდეს ინსტიტუტის მოწესრი-გებასა და ამ მოწესრიგების ფარგლებს, ვინაიდან

---

[10] იხ: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

გამორიცხულია არსებობდეს როგორც აბსოლუტური თავი-სუფლება, ისე აბსოლუტური შებოჭვა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება შევიმუშავოთ სტუდენტური თვითმმართველობის ზოგადი დეფინიცია, რომელიც საერთო იქნება ნებისმიერი მათგანისათვის და ასახავს მის არსსა და დანიშნულებას:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა თვითმმართველობა წარმოადგენს თავად ამ საგანამანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებისა და საკუთარი დებულების შესაბამისად მოქმედებს და ახორციელებს მისთვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ჩაურევლად.

აღნიშნული განსაზღვრება საკმაოდ ზოგადი და მრავლის-მომცველია, თუმცა მისი თითოეული ელემენტი უნდა იყოს გავრცობილი თვითმმართველობის მომწესრიგებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტის ნორმებში.

ცალკე აღსანიშნავია თვითმმართველობის სამართლებრივი ფორმა, თუ რა სამართლებრივ რეჟიმშია იგი მოქცეული სახელმწიფოსთან მიმართებაში. ცალსახაა, რომ ის არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, რასაც სხვადასხვა სტუდენტური თვითმმართველობების დებულებებიც მოწმობს. ამასთან სრულიად წარმოუდგენელია იურიდიული პირის შემადგენ-ლობაში დამოუკიდებელი, ახალი იურიდიული პირის არსებობა, უნივერსიტეტები კი, როგორც ცნობილია, იურიდიულ პირებს წარმოადგენენ.

თავისი ბუნებიდან გამომდინარე, იგი ერთგვარ ჰიბრიდულ ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან ერთი მხრივ მიეკუთვნება საგანმანათლებლო დაწესებულების მთლიან ორგანიზმს, ხოლო მეორე მხრივ ფორმალურად არ წარმოადგენს მის ორგანოს, შესაბამისად ამ კუთხით იგი უფრო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრულ არარეგისტრირებულ

კავშირთან (გაერთიანებასთან) ამჟღავნებს საერთოს, თუმცა მისი სამართლებრივი ბუნება დაწვრილებით მე-3 პარაგრაფში იქნება განხილული.

§2. „სტუდენტთა თვითმმართველობა“ და „სტუდენტური თვითმმართველობა“ - ცნებათა მნიშვნელობა

სამართლებრივ ცნებათა გამოყენება ზოგადად პრობლემური საკითხია თანამედროვე ქართულ სამართალში, ვინაიდან ხშირია გაუაზრებელი და ნაჩქარევად შემოტანილი ტერმინების დამკვიდრების ფაქტები, მათი ასახვა საკანონმდებლო სივრცეში, რის შემდეგაც ქართული სამართლებრივი ენა მახინჯდება და თვითმყოფადობას კარგავს.

ცნების, სამართლებრივი ტერმინის გაგება მნიშვნელოვან როლს თამაშობს თავად ინსტიტუტის არსის აღქმაში. ამიტომაც ჩავწვდეთ ცნებებს, ნიშნავს ჩავწვდეთ და შეძლებისდაგვარად, გავიგოთ თავად ინსტიტუტი.[11]

სტუდენთა თვითმმართველობების მაგალითზე ძალზედ საინტერესო შემხვევასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან გან-სხვავებული ცნებები „სტუდენტთა თვითმმართველობა“ და „სტუდენტური თვითმმართველობა“ მოცემულია არათუ ერთსა და იმავე საკანონმდებლო აქტში, არამედ ამ აქტის ერთი მუხლის სხვადასხვა პუნქტში, რაც თავის მხრივ გარკვეულ უხერხულობასა და სირთულეებს ქმნის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ კონკრეტულმა ცნებამ ასახვა უნდა ჰპოვოს სხვა მრავალ სამართლებრივ აქტში, რომელთა ერთობლიობაც საბოლოო ჯამში საქართველოს კანონმდებლობას ქმნის.

---

[11] იხ: დ. გეგენავა, სამართლებრივი ენა - ქართული სამართლებრივი კულტურის კატალიზატორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 92 წლისთავისადმი მიძღვნილი 70-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტთა შრომები, თბილისი, 2010, 9; B. Bix, Law, Language and Legal Determinacy, Oxford-New York, 1993 (2003), 5-6

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი დასათაურებულია როგორც „სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებები“, შესაბამისად კანონმდებელი უკვე გვთავაზობს ერთ სამართლებრივ ტერმინს, თუმცა ამავე მუხლის ოთხივე პუნქტში ნაცვლად აღნიშნული ტერმინისა, გვხვდება „სტუდენტური თვითმმართველობა“[12]. ყოველივე ეს იწვევს ცნებათა აღრევას ერთმანეთში, მითუმეტეს სწორედ ამ ნორმის შესაბამისად იქნა შექმნილი სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა თვითმ-მართველობები და მათი მომწესრიგებელი ნორმები.

„სტუდენტურ თვითმმართველობად“ იწოდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითმმართველობები და ა.შ.[13] უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა უმეტესობა სწორედ ამ გზით წავიდა და აირჩია თავად აღნიშნული კანონის 45-ე მუხლის პუნქტებში მოცემული ცნება.

---

[12] ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტთა თვითმმართველობას უწოდებენ სტუდენტურ თვითმმართველობას (Student Self-Government), თუმცა გავრცელებულია ამ ინსტიტუტისათვის სტუდენტური კავშირის (Students Union) სტუდენტური საბჭოს (Student Council) ან სტუდენტთა ასოციაციის (Students' Association) წოდების შემთხვევები.

[13] იხ: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 58-ე მუხლი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის ბრძანება 490-ით; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მუხლი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის ბრძანება 27/ნ-ით.; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების 35-ე მუხლი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 13 აგვისტოს ბრძანება 646-ით; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 45-ე მუხლი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის ბრძანება 581-ით

ამ შემთხვევაში საქმე შედარებით მარტივადაა, ვინაიდან კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას ორივე ცნება გამოვიყენოთ საჭიროებისამებრ, ამასთან არსობრივად ისინი იდენტური ტერმინოლოგიური მნიშვნელობის მატარებლები არიან. ერთი მხრივ, ამგვარი დამოკიდებულება ხელსაყრელია, ვინაიდან დაბალია შეცდომების დაშვების ალბათობა, თუმცა მეორე მხრივ, ყოველივე ეს შესაძლოა გახდეს ტერმინთა აღრევისა და დამატებითი პრობლემების შექმნის საფუძველი.

უპრიანი იქნება, თუკი კანონმდებელი შეჯერდება ერთ ტერმინზე, რომელსაც გამოიყენებს ამ ინსტიტუტის აღსანიშნად, რადგან ამით მოხდება როგორც არსებული კანონმდებლობის გამართვა, ისე შესაძლო პრობლემების თავიდან აცილება.

ძნელი სათქმელია, რომელი ტერმინის გამოყენება იქნება უფრო მიზანშეწონილი. „სტუდენტური თვითმმართველობა“ და „სტუდენტთა თვითმმართველობა“ - ორივე ცნება ნათლად ასახავს სტუდენტების მიერ საკუთარი უფლებების რეალიზაციისათვის შექმნილი სამართლებრივი ინსტიტუტის არსს. ორივე მათგანში ყურადღება გამახვილებულია უფლების ძირითად მატარებელზე სტუდენტზე, მის დამოუკიდებლობასა და თვითრეალიზაციაზე (თვითმმართველობა), შესაბამისად დასაშვებია მათი გამოყენება საჭიროებისამებრ. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა შეხედულებაც, მათმა უმეტესობამ უპირატესობა სწორედ ცნება - „სტუდენტურ თვითმმართველობას“ მიანიჭა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ტექნიკის გამართვის მიზნით აჯობებს, თუკი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლს დაერქმევა სათაურად „სტუდენტური თვითმმართველობა“, ხოლო ცნება „სტუდენტთა თვითმმართველობა“ მის სამეცნიერო-თეორიულ შესატყვისად იქცევა.

§3. სტუდენტთა თვითმმართველობის

სამართლებრივი ბუნება

სტუდენტთა თვითმმართველობის შესახებ ლიტერატურისა და ნორმატიული ბაზის ნაკლებობა განაპირობებს საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალ დონეს და დაინტერესებულ პირთა მხრიდან შეცდომების დაშვების დიდ ალბათობას. მრავლადაა ისეთი შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის პირი სტუდენტთა თვითმმართველობას მიიჩნევს ადმინისტრაციულ ორგანოდ და მის მიმართ ავრცელებს შესაბამის სამართლებრივ რეჟიმს, რაც თავისთავად არასწორია.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განვსაზღვროთ, თუ რა სამართლებრივი ფორმა გააჩნია სტუდენტთა თვითმ-მართველობას, ანუ რას წარმოადგენს იგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით.

სტუდენტთა თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. იგი უკვე არის სხვა იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურის ნაწილი და ასოცირდება თავად უნივერსიტეტთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც სტუდენტთა თვითმმართველობა სრული მნიშვნელობით არსებობს, წარ-მოადგენს იურიდიულ პირს (ამ შემთხვევაში, არა აქვს მნიშვნელობა იურიდიული პირის კონკრეტულ სახეს), რომლის მიმართ სრულიად განსხვავებული მოწესრიგებაა დადგენილი. სამართლის ზოგადი პრინციპის თანახმად, იურიდიული პირის შემადგენლობაში დაუშვებელია შედიოდეს სხვა იურიდიული პირი.

სტუდენტური თვითმმართველობა თავისი არსით კავშირია, თუმცა ვინაიდან კავშირი (ასოციაცია) იურიდიულ პირს წარმოადგენს, უნდა მივაკვლიოთ მის მსგავს სამართლებრივ ფორმას, რომელიც *კავშირი* იქნება არსობრივად, თუმცა არა იურიდიული პირი.

ამ მსჯელობას თუ გავყვებით სტუდენტთა თვითმ-მართველობა ყველაზე ახლოს არარეგისტრირებულ კავშირთან

ამჟღავნებს საერთოს. ამგვარ სამართლებრივ ფორმას საქართველოს სინამდვილეში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლი აწესრიგებს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს არარეგისტრირებული კავშირის ბუნებაზე და აღნიშნავს, რომ იგი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო კავშირის სტრუქტურისა და მოწყობის საკითხები განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით.[14]

აღნიშნული განმარტების შესაბამისად, სტუდენტთა თვითმმართველობა თავად განსაზღვრავს მის სტრუქტურასა და მოწყობას თვითმმართველობის არჩეული წევრების მიერ. ამასთან იგი წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მთლიანი სტრუქტურის ნაწილს. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლებრივი ბუნება სტუდენტთა თვითმმართველობას ერთგვარად ჰიბრიდული გააჩნია, ვინაიდან იგი ორმაგ სამართლებრივ რეჟიმშია მოქცეული: 1. წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულს, ადმინისტრაციის მხრიდან მის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიით და 2. სამართლებრივი ფორმით არარეგისტრირებული კავშირია, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობებშია ჩართული.

მიუხედავად ორმაგი ბუნებისა, უპირატესობა ყოველთვის მიენიჭება სწორედ საჯარო-სამართლებრივ ხასიათს, რომელიც მისი, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი იურიდიული პირის სტრუქტურული ერთეულის მიმართ იმოქმედებს.

ადმინისტრაციული ორგანოს ცნება მოცემულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ამ დეფინიციიდან რელევანტურია - ***„ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“,*** ვინაიდან დეფინიციის პირველ ნაწილში საუბარია სახელმწიფო და ადგილობრივი

---

[14] იხ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი, საპარლამენტო უწყებანი 31, 1997 წ, 786-IIს

თვითმმართველობების ორგანოებზე, რომლებსაც სტუდენტთა თვითმმართველობა არ წარმოადგენს.[15]

აუცილებელია განვიხილოთ თავად ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა. ადმინისტრაციული ორგანოსთვის განმსაზღვრელია მის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების ფაქტი, რომლითაც იგი მმართველობითი ორგანოს სტატუსს იძენს. ამის პარალელურად კი მნიშვნელოვანია სტუდენტთა თვითმმართველობის მიზნობრიობაზე საუბარი, თუ რატომ შეიქმნა ეს ინსტიტუტი, რა მიზანი დაისახა კანონმდებელმა. სტუდენტთა თვითმმართველობის შექმნით კანონმდებელს არ გადაუნაწილებია მისთვის უნივერსიტეტისათვის დაკისრებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ნაწილი, მისი მიზანი არ ყოფილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, მისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დამხმარე სტრუქტურული ერთეულის შექმნა. სტუდენტთა თვითმმართველობის იდეა სტუდენტის უფლებების დაცვასა და მათი ინტერესების წარმოჩენაში მდგომარეობს და არა რაიმე სხვა საგანმანათლებლო ფუქციების განხორციელებაში.

სტუდენტთა თვითმმართველობა წარმოადგენს ე.წ. „მრჩეველთა კრებულს“ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის, რომელიც თავად წყვეტს ამა თუ იმ პროექტისა და წინადადების დაფინანსების საკითხს თვითმმართველობის წარდგინების შედეგად, ანუ მართალია, თვითმმართველობა ახორციელებს პროექტებს და იხილავს შემოსულ წინადადებებს, მაგრამ მას საბოლოო ჯამში დამოუკიდებლად საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილება არ გააჩნია, აღნიშნული კვლავაც ცენტრალური ადმინისტრაციის კომპეტენციას განეკუთვნება. შესაბამისად, საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება ვერ ექნება თვითმმართველობას მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე. მართალია, მას გააჩნია უფლებამოსილება

---

[15] იხ: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 32(39) 1999 წ, 2181 IIს

მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მართვასა და სტუდენტური ცხოვრების გამრავაფეროვნებაში, მაგრამ მას არ გააჩნია ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიცაა დამოუკიდებლად ფინანსური საქმიანობის განხორციელება.

სტუდენტთა თვითმმართველობის სამართლებრივი ბუნება მეტად რთული და ჰიბრიდულია, ვინაიდან მის მიმართ ერთდროულად რამდენიმე სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება. მიუხედავად ამისა შეიძლება გამოვკვეთოთ ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც მას, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს გააჩნია:

1. სტუდენტთა თვითმმართველობა უმაღლესი საგანმანათლებლო ***დაწესებულების ერთიანი სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია,*** რომელიც იმავდროულად „სტრუქტურულ ერთეულს“, როგორც საკანონმდებლო ცნებას არ ემთხვევა.

2. ***არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.***

3. სამართლებრივი ბუნებით და ორგანიზაციული ფორმით არარეგისტრირებული კავშირის მოდიფიცირებული მოდელია, რომელსაც საკანონმდებლო დონეზე გააჩნია სამართლებრივი სტატუსი.

4. ***არ არის ადმინისტრაციული ორგანო.***

§4. ქართული კანონმდებლობა

სტუდენტთა თვითმმართველობის შესახებ

იერარქიით უმაღლესს იმ სამართლებრივ აქტებიდან, რომლებიც ეხება სტუდენტთა თვითმმართველობებს, წარმოადგენს საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომლის 45-ე მუხლი განსაზღვრავს ამ ინსტიტუტის სამართლებრივ სტატუსს, დაკომპლექტებისა და საქმიანობის ზოგად წესს. მსგავსი ტიპის მომწესრიგებელი ნორმა სხვა საკანონმდებლო აქტში არ მოგვეპოვება. აღნიშნული ძალზედ ზოგადი ხასიათისაა და დიდ სივრცეს ტოვებს ლავირებისათვის,

მის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს სტუდენტთა თვითმმართველობის დამატებითი რეგულაციები.

აქვე აღსანიშნავია უნივერსიტეტის რექტორთა შესაბამისი ბრძანებები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად გამოიცემოდა[16] და რომლებიც ეხებოდა სტუდენტთა თვითმმართველობების პირველი არჩევნების ჩატარებას და ადგენდა ერთჯერადი გამოყენების ქცევის წესს, რომელიც კონკრეტულად თვითმმართველობათა პირველი არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებას აწესრიგებდა, ამიტომაც ამ ინსტიტუტზე საუბრისას, იგი მხოლოდ ფაკულტატური მნიშნველობის სამართლებრივ აქტად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან მას არ ჰქონია შემდგომი მოწესრიგების უფლებამოსილება.

აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაზე, როგორც მის ძირითად სამოქმედო დოკუმენტზე, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა თვითმმართველობების მომწესრიგებელ ნორმებს, თუმცა, სამწუხაროდ, ის ხშირად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისი პუნქტების ასლს წარმოადგენს, რაც არ გვაძლევს საშუალებას დაწვრილებითი ინფორმაცია მივიღოთ ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების დეტალებზე.

ცალკე მსჯელობის საკითხია თავად სტუდენტთა თვითმმართველობების დებულებები, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება თვითმმართვლობების საქმიანობის განხორციელების წესი და პირობები, ასევე მისი დეტალური სტრუქტურა და მართვა-გამგეობის ორგანოთა უფლებამოვალეობები. შესაბამისად, სწორედ დებულებებია ძირითადი

---

[16] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 473 საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, მე-2 პუნქტის ძ[1] ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - 69, 10.06.2005

აქტები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ კონკრეტულ სტუდენტთა თვითმმართველობაზე, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მიერ მიღებული ნებისმიერი სამართლებრივი აქტი და წესი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებასთან.

თავი II სტუდენტთა თვითმმართველობის მიზნები

§1. ზოგადი მიზნები

ყველა სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობას თავისებური გამართლება და დასაბუთება გააჩნია. მათ ქმნიან კონკრეტული მიზნების შესასრულებლად, რაც, თავისთავად, არ გამორიცხავს ასევე სხვა ფაკულტატური მიზნების არსებობას, რომელიც თავად ინსტიტუტმა შეიძლება შეითვისოს და გაითავისოს.

სტუდენტთა თვითმმართველობის ძირითადი მიზნები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს თვითმმართველობის უფლებამოსილებებს. რა თქმა უნდა, სრულებითაც არ იგულისხმება, რომ თვითმმართველობებს ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გარდა არ გააჩნიათ სხვა განსხვავებული უფლებები. აქ არ მოქმედებს **numerus clausus** პრინციპი[17].

ხსენებული ნორმისა და სტუდენტური თვითმმართველობების დებულებების ანალიზის შედეგად შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი და ზოგადი მიზნები, რომელთა აღსასრულებლად (მისაღწევად) თვითმმართველობები ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას:

ა) სტუდენტთა წარმოდგენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ბ) სტუდენტთა უფლებების დაცვა;

გ) მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

დ) სტუდენტთათვის კვალიფიციური განათლების მისაღებად აუცილებელი გარემოს შექმნის ხელშეწყობა;

---

[17] დახურულ რიცხვთა პრინციპი

ე) სტუდენტთა შრომითი მოღვაწეობის, ინტელექტუალური განვითარებისა და დასვენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება;

ვ) განათლების სფეროში სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მიზნების დასახვასა და შესრულებაში მონაწილეობის მიღება.

სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობის ან თუნდაც, ზოგადად არსებობის მიზნები სტუდენტთა უფლებების დაცვისა და საკუთარი თავის მაქსიმალური რეალიზაციისკენაა მიმართული და ყოველივე სხვა, დამატებითი მიზანი თუ ამოცანა ამ ძირითადი მიზნებიდან უნდა გამომდინარეობდეს და მათდამი უნდა იყოს მიმართული.

სტუდენტური თვითმმართველობები აბსოლუტური თავისუფლებით სარგებლობენ თავიანთი საქმიანობის მიზნების განსაზღვრის პროცესში, ისინი სრულიად დამოუკიდებლად, შექმნილი სინამდვილიდან გამომდინარე, თავად წყვეტენ დამატებით რა მიზნები დაისახონ.

§2. სტუდენტთა წარმოდგენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასა და მესამე პირებთან ურთიერთობებში

სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის არსებული ურთიერთობები მრავალი ხელშეკრულებითა თუ სამართლებრივი აქტით არის მოწესრიგებული, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ ერთმანეთს შორის შეძლებისდაგვარად ჰორიზონტალურ ურთიერთობებს.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენადაა სტუდენტი ინტეგრირებული საუნივერსიტეტო გარემოსა და მის საქმიანობაში, აუცილებელია არსებობდეს გამართული სისტემა და სპეციალური სამართლებრივი ინსტიტუტი, რათა მან შეძლოს წარმომადენლობითი უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელება.

შიდასაუნივერსიტეტო ურთიერთობებში შედარებით ნაკლებად პრობლემურია სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის

უშუალო ურთიერთობების დამყარება, ვინაიდან ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ორიენტირებული უნდა იყოს ხარისხიანი განათლების გაცემაზე, რაც პირდაპირპროპორციულია სტუდენტის უფლებისა - მიიღოს ეს განათლება. ამიტომაც უნივერსიტეტი უნდა ცდილობდეს აღმოფხვრას ნებისმიერი დაბრკოლება მასსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობაში.

თუმცა საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს უნდა ჰყავდეთ უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც მათი სახელით გამოვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და მესამე პირებთან ურთიერთობებში. სირთულეების წარმოშობისას სტუდენტებს არ უნდა ჰქონდეთ საფიქრალი, თუ ვინ და როგორ, რა გზებით უნდა აღჭურვონ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებებით.

უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა თავადაა აღჭურვილი სტუდენტების სახელით გამოსვლის უფლებით, თუმცა იგი, როგორც დაწესებულება ყოველთვის სხვა მეთოდებითა და საშუალებებით მოქმედებს. რაც შეეხება სტუდენტთა თვითმმართველობას, მათი წარმომადენლობითი უფლებამოსილება უშუალოდ სტუდენტებიდან მოდის, რასაც ისინი პირდაპირი არჩევნების, როგორც დემოკრატიის უშუალო ფორმის[18], მეშვეობით ახორციელებენ.

სტუდენტთა თვითმმართველობა თავად წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სტუდენტის წარმომადგენლობას.[19] მისი არსებობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი სწორედ მისი მიზანი - სტუდენტთა ინტერესების წარმოდგენაა.[20]

სტუდენტთა თვითმმართველობები წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს სპეციალური ნებართვისა და რწმუნებულების გარეშე ახორციელებენ.

---

[18] უშუალო დემოკრატიის ფორმებთან დაკავშირებით, იხ: ო. მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, 196-197

[19] Universities Act of Finland, Section 40. 27 June 1997/645

[20] P. Georgieva, Higher education in Bulgaria, with the contributions of L. Todorova and D. Pilev, Monographs on Higher Education Bucharest, 2002, 80

სტუდენტთა თვითმმართველობის შესაბამის თანამდებობის პირს შეუძლია თავისი უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობებში, თან ამისათვის მას არ სჭირდება სპეციალური რწმუნებულება ან მისი უფლებამოსილების აღიარება. საკმარისია უტყუარი ცნობა იმისა, რომ ის წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამის თანამდებობის პირს, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია თვითმმართველობის სახელით გამოვიდეს (იმოქმედოს).

§3. სტუდენტთა უფლებების დაცვა

სტუდენტთა უფლებების დაცვა პირდაპირ კავშირშია თვითმმართველობის მიერ წარმომადენლობითი უფლებამოსილების განხორციელებასთან. ამასთან აღნიშნული პრინციპი უპირველეს ყოვლისა ზოგადად სტუდენტური თვითმმართველობის არსებობის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

თვითმმართველობის მიერ სტუდენტთა უფლებების დაცვის ფუნქციების შეთავაზება არ ნიშნავს იმას, რომ უმაღლესი საანმანათლებლო დაწესებულება თავისუფლდება მისი სტუდენტების უფლებების დაცვისაგან, პირიქით მისი ყველა ორგანო თუ სტრუქტურული ერთეული ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ ვალდებულების პრაქტიკული რეალიზაცია.

კანონმდებელმა ცალკე გამოყო აღნიშნული მიზანი, როდესაც სტუდენტთა თვითმმართველობის ძირითად საქმიანობაში ჩართო იგი[21] და ამით მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა.

მიზანი, მართალია, განსაზღვრულია, თუმცა საკმაოდ რთულია მისი აღსრულება და განხორციელება, სტუდენტთა

---

[21] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

უფლებების დარღვევაზე ზედამხედველობის არასისტემურობის გამო. ეფექტური ორგანოს პარალელურად უნდა არსებობდეს უნივერსიტეტის მხრიდან მზაობა თანამშრომლობაზე.

სტუდენტთა თვითმმართველობა ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, დარღვეული უფლებების აღდგენა, განახორციელოს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის კანონით ნებადართული ნებისმიერი აუცილებელი ღონისძიება.[22]

სტუდენტთა უფლებებზე მონიტორინგის განხორციელება, სასურველია, შეთანხმებული იყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან რაიმე სპეციალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის გაჩნდება ეჭვი სტუდენტთა მიერ მათი კოლეგის (სტუდენტის) უფლების დარღვევაზე გამოთქმული შენიშვნისა თუ დასკვნის ობიექტურობაზე. სასურველია, კოორდინაცია და მონიტორინგი განხორციელდეს ერთობლივად.

ერთობლივი კომისიებისა თუ ჯგუფების არარსებობა არ ათავისუფლებს საკუთრივ თვითმმართველობას ვალდებულებისაგან, მოახდინოს დარღვევების აღმოჩენა და შემდგომი პრევენცია. იგი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში მოიძიოს ინფორმაცია, შეისწავლოს უფლების დარღვევის ფაქტი და შესაბამის ორგანოებს აცნობოს მის შესახებ.

მხოლოდ შეტყობინებით არ უნდა შემოიფარგლოს სტუდენტთა თვითმმართველობის მოქმედება, აუცილებელია მან ადმინისტრაციას მოსთხოვოს შესაბამისი, პროპორციული რეაგირება დარღვევაზე, ვინაიდან ნებისმიერი ჩარევა უფლებებით დაცულ სფეროში, რომელსაც არ მოსდევს პროპორციული პოზიტიური მოქმედება, დარღვევათა შემდგომი განმეორების პოტენციური საფრთხეა.

---

[22] იხ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების 50-ე მუხლი

სტუდენტთა თვითმმართველობა ვალდებულია იმგვარად მოაწყოს თავისი სტრუქტურა, რომ უზრუნველყოს აღნიშნული მიზნის ჯეროვანი აღსრულება. სასურველია ცალკე გამოიყოს რაიმე სამსახური, დეპარტამენტი ან კომისია, რომლის ამოცანაც იქნება სწორედ სტუდენტის უფლების დარღვევათა ფაქტების აღმოჩენა, აღმოფხვრა და შემდგომი პრევენცია.[23]

§4. მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში

სტუდენტთა მონაწილეობა სავალდებულოა უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უმაღლესი განათლების ყველა დონესა თუ საფეხურზე.[24] სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ფუძემდებლურ მიზანს, რის გამოც იქმნება სტუდენტთა ერთობლივი საბჭოები, თვითმმართველობები თუ ასოციაციები.

ახალგაზრდობის ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამედროვე, ლიბერალური და თავისუფალი საზოგადოების მონაპოვარია, ვინაიდან მისთვის აუცილებელია ახალი, შეუბოჭავი აზრი, რომელიც მოდის განათლების მიმღებისაგან, განათლების გაცემის უშუალო ადრესატებისაგან.

არსებობს სხვადასხვა მიდგომა და პრაქტიკა, თუ რა დონეზე და რომელი ორგანოების საქმიანობაში ერთვებიან სტუდენტები.

---

[23] მაგალითისთვის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურაში შედის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელსაც სპეციალური წარმომადგენლები (კურატორები) ჰყავს ფაკულტეტებზე. (თსუ სტუდენტური თვითმმართველობის დებულების 46-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)

[24] V. Kremen, S. Nikolajenko, M. Stepko, V. Bolyubash, A. Gurjiy, M. Zgurovsky, K. Levkivskyi, V. Petrenko, Higher Education in Ukraine, Bucharest, 2006, 66

ზოგადი წესით, წარმომადგენლობით ორგანოებში სტუდენტთა რაოდენობა გამოითვლება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის რაოდენობის პროპორციულად, განსაზღვრული ოდენობებით.[25]

აუცილებელია სტუდენტების ჩართვა უნივერსიტეტის მთავარ წარმომადგენლობით ორგანოებში, როგორც ცენტრალურ, ისე საფაკულტეტო დონეზე. წარმომადგენლობით ორგანოებში სტუდენტების მონაწილეობის ვალდებულება სპეციალური კანონის საფუძველზე უნდა არსებობდეს.

საბერძნეთის საჯარო უნივერსიტეტებში სტუდენტები მონაწილეობენ თითქმის ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობაში, დაწყებული რექტორის საბჭოდან, დამთავრებული წარმომადგენლობითი, ფაკულტეტის და ადმინისტრაციული საბჭოთი.[26]

შეიძლება გამოიყოს სტუდენტების რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც თავიანთი სტატუსის შესაბამისად უნდა წარმოადგენდნენ სტუდენტობას. დანიაში მოქმედი წესის მიხედვით, აკადემიურ საბჭოში რექტორის, საბჭოს თავმჯდომარისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების გარდა უნდა იყვნენ როგორც არჩეული დოქტორატურის საგანამანათლებლო საფეხურის სტუდენტები, რომელთაც უნივერსიტეტთან შრომითი ხელშეკრულება აკავშირებთ, ისე ქვედა საფეხურის (ბაკავრიატი, მაგისტრატურა) სტუდენტები.[27]

ყველაზე გავრცელებული წარმომადგენლობები სტუდენტებსა და სტუდენტთა თვითმმართველობებს გააჩნიათ წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი), ფაკულტეტის საბჭოსა და ადმინისტრაციულ საბჭოში.[28]

---

[25] A. Kyriazis, F. Asderaki, Higher Education in Greece, Translation and proof reading by A. Gouseti, Eirini Ageli, Monographs on Higher Education, Bucharest, 2008, 118

[26] იქვე, 113-117

[27] Act on Universities (the University Act) of Denmark, Art. 15, Act no. 403 of 28 May 2003

[28] იხ: A. Kyriazis, F. Asderaki, Higher Education in Greece, Translation and proof reading by A. Gouseti, Eirini Ageli, Monographs on Higher Education,

სტუდენტები შესაძლებელია აირჩიონ როგორც პირდაპირი კენჭისყრის მეშვეობით უშუალოდ სტუდენტებმა, ისე თავად სტუდენტთა თვითმმართველობებს მიეცეთ უფლებამოსილება წილისყრით დაადგინონ საკუთარი შემადგელობიდან ან სხვა სტუდენტებიდან ვინ წარმოადგენს მათ და ზოგადად სტუ-დენტებს წარმომადენლობით ორგანოებში. ორივე შემთხვევაში სტუდენტების მიერ უშუალოდ არჩეული პირი დაიკავებს ადგილს საბჭოში.

§5. სტუდენტთათვის კვალიფიციური განათლების მისაღებად აუცილებელი გარემოს შექმნის ხელშეწყობა

სტუდენტთა თვითმმართველობები არჩეული სტუდენტები-საგან შედგება, რომლებიც დელეგატის სტატუსთან ერთად, უპირველეს ყოვლისა სტუდენტები არიან და ისინი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამა თუ იმ პროგრამაზე არიან რეგისტრირებულნი, შესაბამისად არცაა გასაკვირი, რომ თავად სტუდენტთა თვითმმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სტუდენტის მიერ კვალიფიციური განათლების მიღების ხელშეწყობა წარმოადგენდეს.

დღესდღეობით დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მი-ხედვითაც თვითმმართველობები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ ამ პროგრამების მართვაში, განხორციელებაში.[29] ევროპის სახელმწიფოებში თვითმმართველობების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, ასევე მისი

Bucharest, 2008, 113-117; Act on Universities (the University Act) of Denmark, Articles 12(1) and 15, Act no. 403 of 28 May 2003; Universities Act of Finland, Section 12, 27 June 1997/645; საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მე-17 და 27-ე მუხლები, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

[29] იხ: P. Georgieva, Higher education in Bulgaria, with the contributions of L. Todorova and D. Pilev, Monographs on Higher Education Bucharest, 2002, 80

შემდგომი დახვეწის პროცესში, მზარდია და უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.[30]

თვითმმართველობებს შეუძლიათ ასევე დადებითად იმოქმედონ სასწავლო გრანტების, სტიპენდიებისა და დაფინანსებების გაცემისა და განკარგვის პროცესში.[31] ზოგიერთ უნივერსიტეტში სწორედ თვითმმართველობასთან კონსულ-ტაციების შედეგად ხდება სხვადასხვა სტიპენდიის გაცემა[32], განსაკუთრებით ისეთ უნივერსიტეტებში, სადაც ცალკე არსებობს დოქტორანტურის სტუდენტთა თვითმმართველობები, რომლებიც სწორედ სამეცნიერო საქმიანობის სისტემატიზაციის მიზნით არიან შექმნილი.

პოლონეთში თვითმმართველობები მონაწილეობენ დის-ციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების როგორც შემუშავებაში, ისე მის შემდგომ დანერგვასა და განხორ-ციელებაში.[33]

სტუდენტთა თვითმმართველობა აუცილებლად უნდა იყოს მიმართული სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისკენ, რასაც იგი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად უნდა ახორცი-ელებდეს. თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მის მუშაობას ამ მხრივ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი უნდა გააჩნდეს და არ უნდა გასცდეს რჩევებსა და წინადადებებს, ვინაიდან ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ სტუდენტები მოექცევიან სუბიექტური აზრის გავლენის ქვეშ და შესაძლოა მათთვის სუბიექტურად ხელსაყრელი პირობები ჩამოაყალიბონ, რაც საბოლოო ჯამში სასწავლო გარემოს არათუ დახვეწს, არამედ პირიქით - დააკნინებს.

---

[30] იქვე
[31] იქვე, 81
[32] Law on Higher Education of Poland, Art. 104 (2) Act of 27 July 2005
[33] იქვე, Art. 161 (2)

§6. სტუდენტთა შრომითი მოღვაწეობის, დასვენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, თუმცა მას მხოლოდ სწავლება და სტუდენტთათვის კვალიფიციური ცოდნის მიცემა არ ევალება. იგი ასევე ვალდებულია ამ მიზნის განხორციელებისათვის შექმნას შესაბამისი გარემო, რომელშიც სტუდენტი მოახერხებს სათანადოდ განეწყოს სწავლისათვის, სწავლა და დასვენება შეუთავსოს ერთმანეთს.

სტუდენტთა თვითმმართველობას ასევე ევალება სტუდენტთა შრომითი მოღვაწეობის, ინტელექტუალური განვითარებისა და დასვენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. მათი დაფინანსებაც ამ კუთხით უნდა იყოს მიმართული.[34] თუმცა აღნიშნული როდი გულისხმობს, რომ უნივერსიტეტი ამით დელეგირებას ახდენს მასზე დაკისრებული უფლებამოსილებისა. აქ საქმე გვაქვს ორმაგ ვალდებულებასთან: ერთი მხრივ - სტუდენტური თვითმმართველობა, მეორე მხრივ - საკუთრივ უნივერსიტეტი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულით, ვთქვათ კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ა.შ. განყოფილებები, სამსახურები, დეპარტამენტები და სხვ.

სტუდენტთა თვითმმართველობა შესაძლოა აქტიურად იყოს ჩაბმული სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ოთახების ადმინისტრირებასა და კეთილმოწყობაში.[35]

თვითმმართველობამ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული ხასიათის პროექტების განხორციელება, რომლებშიც მონაწილეობის მიღება უნდა შეეძლოს თანასწორობის პრინციპის საფუძველზე უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს. აღნიშნულის დაცვა

---

[34] იხ: P. Georgieva, Higher education in Bulgaria, with the contributions of L. Todorova and D. Pilev, Monographs on Higher Education Bucharest, 2002, 80; Law on Higher Education of Poland, Art. 202 (5) Act of 27 July 2005

[35] იქვე, 80-81

აუცილებელია, ვინაიდან მისი დარღვევისთვის პასუხი თავად უნივერსიტეტს მოეთხოვება, რომელმაც ვერ შეძლო თანასწორობის უზრუნველყოფა.

კულტურულ, ინტელექტუალურ და სპორტულ პროექტებად შეიძლება მივიჩნიოთ სხვადასხვა სახის ინტელექტუალური, სპორტული შეჯიბრებები, სამეცნიერო კონფერენციები, საჯარო ლექციები, შემოქმედებითი და გასართობი საღამოები, საქველმოქმედო, სოციალური აქციები და ა.შ.

თავი III. საქმიანობა და მისი განხორციელების წესი

§1. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განხორციელების წესი

სტუდენტთა თვითმმართველობა საქმიანობას ახორციელებს მისი მიზნების შესაბამისად, თუმცა განხორციელების პროცესში აუცილებელია წესებისა და დადგენილი მოთხოვნების დაცვა და მათ შესაბამისად მოქმედება.

შესაძლებელია მოვიხმოთ ის სამართლებრივი საფუძვლები იერარქიის მიხედვით, რომელთა საფუძველზეც სტუდენტთა თვითმმართველობები საქმიანობენ. უპირველეს ყოვლისა, თვითმმართველობის ნებისმიერი მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და ქართულ კანონმდებლობას. აუცილებელია ის ითვალისწინებდეს ყველა ძირითად მოთხოვნას, განსაკუთრებით ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

მართალია, ცნებაში - „ქართული კანონმდებლობა“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაც იგულისხმება, თუმცა უპრიანი იქნება, თუკი მას ცალკე გამოვყოფთ, როგორც ძირითად სამოქმედო დოკუმენტს უნივერსიტეტის სივრცეში. აქვე აღსანიშნავია უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლებიც აწესრიგებენ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვადასხვა ურთიერთობას. სტუდენტთა თვითმმართველობა და მისი წევრები მუდმივად არიან ამგვარ ურთიერთობათა მონაწილეები.

რაც შეეხება იერარქიით ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომს, თუმცა თვითმმართველობის შიგნით არსებულ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის უმნიშვნელოვანესს. ეს არის თავად თვითმმართველობის დებულება, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს თვითმმართველობის შესახებ არსებული ყველა დანაწესის ერთობლიობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ დებულების შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტები, მათ შორის საერთო კრების დადგენილებები, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა ბრძანებები, განკარგულებები და სხვ.

თვითმმართველობის საქმიანობა შესაძლებელია დავყოთ რამდენიმე მიმართულებად, რომლებიც თავად ამ ინსტიტუტის მიზნებს შეესაბამება, ესენია: ა) სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა; ბ) უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობა; გ) სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება.

მიზნებზე საუბრისას დაწვრილებით განვიხილეთ პირველი ორი მათგანი, ამიტომაც ამჯერად შევეხებით მესამეს.

სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებები - უნივერსიტეტში სწავლა და ცოდნის მიღება თავად გახლავთ მეცნიერების საფუძვლებთან ზიარება, თუმცა იგი უნდა იყოს დახვეწილი და იძლეოდეს პიროვნების განვითარების მაქსიმალურ თავისუფლებას.

სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის გაღვივება და შემდგომი განვითარება შესაძლებელია კვალიფიციური სამეცნიერო პროექტების ორგანიზებით, როგორიცა: სამეცნიერო კონფერენციები, საჯარო ლექციები, ტრენინგები, პუბლიკაციები, შესაძლებლობის ფარგლებში სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალები, კონკრეტულ პრობლემებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, ექსპედიციები, იმიტირებული სასამართლო პროცესები, დებატები, ოლიმპიადები, უნივერსიადები, საზაფხულო სკოლები და ა.შ.

თითოეული მსგავსი სამეცნიერო ღონისძიება სასურველია, შეთანხმებული იყოს აკადემიურ პერსონალთან, რომლებიც კვალიფიციურ რჩევებს და მითითებებს მისცემენ სტუდენტებს, ე.წ. აკადემიურ ზედამხედველობას გაუწევენ მათ.

თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს ძალზედ მჭიდრო კავშირი სტუდენტობასთან, რათა უკეთ შეძლოს მისი უფლებების დაცვა, გაიგოს სტუდენტების აზრი, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამებზე. ამგვარი გამოკვლევების შემდეგ სტუდეტენტთა თვითმმართველობამ უნდა შეიმუშავოს სტუდენტობისა და უნივერსიტეტისათვის ობიექტურად სასარგებლო წინადადებები და შესთავაზოს ისინი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები - სტუდენტების თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელია სწავლას თანაზომიერად ჰქონდეს შეთავაზებული დასვენება და გართობა. თუმცა ეს ყოველივე არ უნდა იყოს დამღლელი და ხელს არ უნდა უშლიდეს ხარისხიანი განათლების მიღებას.

კულტურა და სპორტი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა, რაც ხელს უწყობს ადამიანის ინტელექ-ტუალურ, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას.

კულტურული ღონისძიებებიდან თვითმმართველობამ შესაძლოა უზრუნველყოს ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები და დისკუსიები, გამოფენები, სხვადასხვა კონკურსი, თეატრალური წარმოდგენები, კონცერტები, ინტელექტუალური თამაშები და სხვ.

სპორტული ღონისძიებების ჩატარება თავის მხრივ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან საჭიროა დამა-ტებით სპეციალისტებისა და პროფესიონალების მოწვევა, დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა. თვითმმართველობა ამ მიმართულებით აწყობს შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სფეროში, ამყარებს კავშირს სპორტის სახეობათა ფედე-რაციებთან, ცდილობს ამ კავშირების გამოყენებით სტუდენ-ტობისათვის მოიპოვოს შეღავათები, ფასდაკლებები და სხვ.

რაც შეეხება გასართობ ღონისძიებებს, ეს უკანასკნელი საკმაოდ ფართო ცნებაა და თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ მას როგორც სპორტული, ისე კულტურული პროექტები, თუმცა, თუკი დავავიწროვებთ, მაშინ მასში შესაძლოა მოვიაზროთ საკლუბო საღამოები, სოციალური აქციები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა მსგავსი ღონისძიებები.

§2. დაფინანსება

ნებისმიერი გაერთიანებისა და წარმონაქმის გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შებამისი დაფინანსება და შემოსავლები. ნებისმიერი დაკისრებული მიზნის შესრულე-

ბისათვის საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ხელშეწყობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი მიზანი მხოლოდ ფიქციაა და არა რეალურად შესასრულებელი მისია.

სტუდენტთა თვითმმართველობა არ წარმოადგენს გამონაკლისს და მისთვის დაფინანსება გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. კულტურული, სპორტული თუ საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამისი ფინანსური სახსრები და შესაძლებლობები ადამიანურ რესურსებთან ერთად, რაც სინთეზურად ავსებს პირველს და ერთობლივად უზრუნველყოფს დაკისრებული მიზნების განხორციელებას.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება დაფინანსების პროპორციებსა და ოდენობასთან დაკავშირებით. ყველა სახელმწიფო და საგანმანათლებლო სისტემა თავად წყვეტს როგორ მექანიზმს აირჩევს და გაჰყვება. მიუხედავად ამგვარი განსხვავებებისა და თვითმყოფადობისა, მაინც შეიძლება გამოვიყვანოთ ზოგადი დანაწესი და ჩამოვაყალიბოთ დაფინანსების განსაზღვრის ზოგადი პრინციპი.

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ არაფერს ამბობს სტუდენტთა თვითმმართველობების დაფინანსებასთან დაკავშირებით, მით უმეტეს არ განსაზღვრავს რაიმე წილობრივ მონაცემს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ან სახელმწიფო გრანტიდან.

დაფინანსების განსაზღვრისათვის აუცილებელია თავად დაფინანსების წყაროს განსაზღვრა. გავრცელებულ მოდელთაგან მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ დაფინანსების ორი მთავარი წყარო, ესენია: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტი და სასწავლო გრანტებიდან შემოსული თანხა.[36] ორივე

---

[36] შეად: P. Georgieva, Higher education in Bulgaria, with the contributions of L. Todorova and D. Pilev, Monographs on Higher Education Bucharest, 2002, 80; სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 58-ე მუხლის მე-5 პუნქტი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის ბრძანება 490-ით.

მიდგომას თავისი მომხრეები ჰყავს და საფუძვლიანი დასაბუთება გააჩნია.[37]

რაც შეეხება თანხის ოდენობას, თითქმის მთელ ევროპაში რეკომენდებულია, რომ იგი არ იყოს დაფინანსების წყაროს საერთო ოდენობის 1%-ზე ნაკლები, მიუხედავად იმისა თუ საიდან გამოითვლება იგი, იქნება ეს უნივერსიტეტის ბიუჯეტი თუ ბიუჯეტში შემავალი სწავლის საფასურის საერთო ოდენობა.[38]

რაც შეეხება სხვა სახის შემოსავლებს, რომელიც შეიძლება თვითმმართველობას გააჩნდეს, აქ შესაძლებელია მოვიაზროთ სხვადასხვა გრანტი, ნებაყოფლობითი შემოწირულობა და კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი სხვა სახის შემოსავალი. თუმცა ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც არ უკავშირდება საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტიდან გამომავალ სახსრებს, მაინც უნდა იყოს შეთანხმებული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და შესაბამის ორგანოებთან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ დაწვრილებითი ანგარიშის წარდგენა დამატებითი შემოსავლების ხარჯვასთან დაკავშირებით.

---

[37] საქართველოს შემთხვევაში, უმჯობესი იქნება, თუკი უპირატესობას მივანიჭებთ პირველ მოდელს. ვინაიდან გაცილებით გამართლებულია სტუდენტების წარმომადგენლობით ორგანოს გააჩნდეს დაფინანსება სწორედ სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურისა და სტუდენტთა სახელმწიფო გრანტების პროპორციულად. შედეგად მივიღებთ სტუდენტების სწავლებისათვის შემოსული თანხებიდან თავად სტუდენტთა განვითარებისათვის გამოყოფილ რესურსებს.

[38] აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირებად არსებული უმაღლესი საგანამანათლებლ დაწესებულებებისათვის ამგვარი მინიმალური ზღვრის დადგენა საკმაოდ დელიკატური და პრობლემური საკითხია. აღნიშნული ზოგადად სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის მიერ დასადგენია, რადგანაც აუცილებელია გვახსოვდეს ამგვარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არსებულ დაწესებულებათა მოგებაზე ორიენტირებულობა და განსხვავებული მიზნები. თუმცა მეორეს მხრივ, საქმე სტუ-დენტთა უფლებების დაცვასა და რეალიზაციას ეხება, რაც არა-ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია და ისიც სერიოზულ დაფიქრებასა და განსჯას მოითხოვს.

§3. თვითმმართველობის საქმიანობაზე

ზედამხედველობა და კონტროლი

სტუდენტთა თვითმმართველობა, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულობისა და წარმომადგენლობის არსებობის მაღალ დონეს წარმოადგენს, მაინც სტუდენტებით დაკომპლექტებული გაერთიანებაა. სტუდენტები კი თავის მხრივ ვერ იქნებიან დიდი გამოცდილების მქონე პირები, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად, სრული პასუხისმგებლობით გადაწყვიტონ თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული რიგი საკითხები. ამიტომაც აუცილებელია არსებობდეს მისი საქმიანობის მართლზომიერი ზედამხედველობისა და კონტროლის რაიმე მექანიზმი.

საქართველოს შემთხვევაში, პირდაპირი კონტროლი და ზედამხედველობა აკრძალულია, რაც გამოიხატება სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ჩაურევლობის მოთხოვნაში.[39]

თავისთავად აღნიშნული დანაწესი სრულებით არ გულისხმობს იმას, რომ თვითმმართველობას შეუძლია სრულიად დამოუკიდებლად, არაპირდაპირი ზედამხედველობის გარეშეც იმოქმედოს. მართალია, აღნიშნული წესი მოქმედებს ყველა სფეროზე, თუმცა უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს საშუალება მისი ბიუჯეტიდან გამავალი თანხის ხარჯვა და გაცემა აკონტროლოს, ასევე დაიტოვოს საშუალება არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან ასაცილებლად. ამიტომაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, როგორც წესი, მიმართავს შემდეგ მექანიზმს: სტუდენტთა თვითმმართველობა განკარგავს მისთვის გამოყოფილ თანხას უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, თუმცა ამას ახორციელებს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, იგი სარგებლობს თავისუფლებით გონივრულ ფარგლებში. მის მიერ მოთხოვნილი თანხის

---

[39] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-5 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

გაცემას უნდა დაეთანხმოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები.

აღნიშნული ერთგვარად არაპირდაპირი კონტროლის საშუალებაა, თუმცა მას ვერ განვიხილავთ თვითმმართველობის საქმიანობაში ჩარევად, ვინაიდან დაწესებულება აკონტროლებს არა თავად საქმიანობას, არამედ მისი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, რომელიც თავის მხრივ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ სისტემატურად მოწმდება. ამასთან თავად უნივერსიტეტია პასუხისმგებელი დაფინანსება გასცეს მიზ-ნობრივად.[40]

ევროპაში გავრცელებულია სხვაგვარი მიდგომაც და არსებობს პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტროლისა და ზედამხედველობის მთელი რიგი საშუალებები. ამგვარი კონტროლის მექანიზმი შესაძლოა გამოიხატოს როგორც უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოების მიერ თვითმ-მართველობის საქმიანობის შემოწმებაში, ისე თვითმ-მართველობის შესაბამისი სამართლებრივი აქტების პირდაპირ კონტროლში, მათ შორის აქტის შეჩერებასა და გაუქმებაში.[41]

ნებისმიერი სახე სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობის ზედამხედველობისა და კონტროლისა, უნდა იყოს აუცილებული, რელევანტური და დროული, ამასთან იგი მიზნად უნდა ემსახურებოდეს თავად თვითმმართველობის გამართულ მუშაობას, მასზე დაკისრებული მისიისა და ამოცანის შესრულებას. თუკი ზედამხედველობა გასცდება აღნიშნულ მიზანს, იგი იქნება პირდაპირი ჩარევა თვითმმართველობის საქმიანობაში, რაც აკრძალულია კანონით.

---

[40] Law on Higher Education of Poland, Art. 202 (7) Act of 27 July 2005

[41] მაგ: პოლონეთში საჯარო უნივერსიტეტის რექტორს უფლება აქვს გააუქმოს ან შეაჩეროს სტუდენტური თვითმმართველობის ნებისმიერი დადგენილება, თუკი იგი ეწინააღმდეგება კანონს, სას-წავლებლის წესდებას, სასწავლო პროცესის მომწესრიგებელს ნორმებს ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას. იხ: Law on Higher Education of Poland, Art. 202 (8) Act of 27 July 2005

§4. საქმიანობის საჯაროობა და ინფორმაციის თავისუფლება

მართალია, ცალკე აღებული, თვითმმართველობა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მას თავისი საქმიანობის საჯაროობა-საქვეყნოობის პრინციპის დაცვისაგან. იგი არ გახლავთ საჯარო დაწესებულება,[42] რომელსაც ევალება ინფორმაციის საჯაროობა, თუმცა მთელი რიგი სხვა გარემოებები განაპირობებს მისი საქმიანობის საჯაროობის დაცვის მოთხოვნას.

სტუდენტთა თვითმმართველობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განუყოფელი ნაწილია და მის მთლიანობას წარმოადგენს. უნივერსიტეტი კი თავად წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას, მთელი რიგი ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობით, მათ შორის საქმიანობისა და ინფორმაციის საჯაროობით. შესაბამისად იგი თავადაა ვალდებული უზრუნველყოს მის შემადენლობაში შემავალი ნებისმიერი ერთეულისა თუ გაერთიანების საქვეყნოობა.

სტუდენტთა თვითმმართველობა ფინანსდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტიდან, შესაბამისად იგი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ფინანსების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.[43]

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს საჯარო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც სავალდე-

---

[42] იხ: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999, 32(39), 2181-IIს

[43] მაგ: თუკი პირს აინტერესებს სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, მან უნდა მიმართოს თავად უნივერსიტეტს და არა თვითმმართველობას, ვინაიდან უნივერსიტეტი ვალდებულია გააჩნდეს დაწვრილებითი ინფორმაცია ხარჯვასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტია პასუხისმგებელი დაიცვას ინფორმაციის საჯაროობის პრინციპი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის დროული მიწოდება.

ბულოა მათი საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველ-ყოფისთვის, თუმცა აღნიშნული მოწესრიგება თავისთავად საჯარო დაწესებულებებზე ვრცელდება და არა სხვა ტიპის გაერთიანებებსა თუ ორგანოებზე.

სტუდენტთა თვითმმართველობა სისტემატურად უნდა აწვ-დიდეს ინფორმაციას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესე-ბულებას დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტების, ასევე მათი შედეგების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თავად არაა ვალდებული გასცეს რაიმე სახის ინფორმაცია დაინტერესებულ პირებზე, იგი ვალდებულია გარკვეულ ანგარიშს აბარებდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელიც არაპირდაპირ მონიტორინგს უნდა ახორციელებდეს.

შესაძლებელია გაჩნდეს ლოგიკური შეკითხვა: თუკი სტუდენტთა თვითმმართველობა არაა ვალდებული გასცეს ინფრომაცია, მაშინ როგორ უნდა დაიკმაყოფილოს დაინტე-რესებულმა პირმა მისი კანონიერი ინტერესი? ამის პასუხად შეიძლება ითქვას, რომ უფლება არ შეიძლება იყოს დაუცველი და მისი განხორციელება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ამიტომაც პირმა უნდა მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და შესაძლებლობის ფარგლებში მოითხოვოს ინფორმაცია თვითმმართველობის საქმიანობასთან დაკავ-შირებით. უნივერსიტეტი უკვე კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელებს მის ხელთ არსებული ინფორმაციის გაცემას დაინტერესებული პირისათვის.

უნივერსიტეტი ვალდებულია ფლობდეს სტუდენტთა თვითმ-მართველობის შესახებ ინფორმაციას:

ა) სტუდენტთა თვითმმართველობის ბიუჯეტისა და მისი ხარჯვის შესახებ;

ბ) თვითმმართველობის წევრთა და თანამდებობის პირთა შე-სახებ;

გ) თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ;

თავი IV. შემადგენლობა

§1. დაკომპლექტება

სტუდენტთა თვითმმართველობების დაკომპლექტებისა და მისი შემადგენლობის საკითხი ერთ-ერთი საკვანძო თემაა ზოგადად თვითმმართველობებზე საუბრისას. როგორც წესი, უმაღლესი განათლების მომწესრიგებელი ნორმები იშვიათად თუ განსაზღვრავენ ამგვარ წვრილმანებს, მიუხედავად ამ უკანასკნელთა ძალზედ დიდი მნიშვნელობისა. ამის მიზეზად შესაძლოა განვიხილოთ როგორც უნივერსიტეტების შიდა სტრუქტურის, ისე სტუდენტთა რაოდენობის განსხვავება.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქნება დაკომპლექტებული თვითმმართველობა, უნდა იყოს დაცული საბაზისო და საციცოცხლო პრინციპები: თანასწორობა და პროპორციულობა. მართალია, ეს ორი პრინციპი თავისთავად კვეთს ერთმანეთს და ფაქტობრივად უპირისპირდება კიდევაც, თუმცა აუცილებელია ოქროს შუალედის პოვნა, კერძოდ აღნიშნული პრინციპები დაცული იქნება თუკი პროპორციულობის გამოყენების შედეგები თანასწორი და სამართლიანია.

განვიხილოთ დაკომპლექტების საკითხი ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების წარმომადგენლობის მიხედვით.

ზოგადად მიღებულია ფაკულტეტების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის არსებობა თვითმმართველობაში, რათა თავად ფაკულტეტებისა და მისი სტუდენტების თანასწორობა იყოს დაცული, თუმცა მეორე მხრივ საკითხავია, რამდენადაა მიზანშეწონილი ხსენებული მოთხოვნის შესრულება, როდესაც აშკარაა განსხვავება ამა თუ იმ ფაკულტეტის სტუდენტთა რაოდენობაში. ამ შემთხვევაში, უპრიანი იქნება თუკი მოხდება წარმომადგენელთა განსხვავებული რაოდენობის დადგენა, ვინაიდან დელეგატი, პირველ რიგში, წარმოადგენს არა ფაკულტეტს, არამედ ფაკულტეტის სტუდენტობას. სწორედ ამ მიზნით იქმნება ჯერ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმ-

მართველობა და შემდგომ საუნივერსიტეტო.[44] თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს შესაძლებლობას ყველა ფაკულტეტს თანაბარი წარმომადგენლობა ჰყავდეს. საბოლოო ჯამში აღნიშნული თავად თვითმმართველობის გადასაწყვეტია.

საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა ასევე ემსახურება ყველა სტუდენტის აქტიური წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და საზოგადოებრივ აქტიურობაში ჩართვის მიზანს. ეს პრობლემა არ დგას ისეთ გარემოში, სადაც არსებობს სტუდენტთა დანაწევრებული თვითმმართველობა: დაბალი საფეხურის სტუდენტთა და დოქტორანტთა თვითმმართველობები.[45] ამ შემთხვევაში კომპეტენციებიც გაყოფილია და უკეთ ხორციელდება ამა თუ იმ საფეხურის სტუდენტთა უფლებების რეალიზაცია, თუმცა ეს არ გულისხმობს ამ სისტემის უდავო უპირატესობას სტუდენტთა თვითმმართველობების ერთდონიან მოდელთან მიმართებაში.

ერთიან მოდელში აუცილებელია ყველა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტების ინტერესები იყოს დაცული და წარმოდგენილი. ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტორანტურას უნდა გააჩნდეს სპეციალურად გამოყოფილი კვოტები თვითმმართველობაში, რაღა თქმა უნდა, სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად. შედეგად მივიღებთ თვითმმართველობაში სტუდენტთა შემდეგ პროპორციულ გადანაწილებას: I - ბაკალავიატის სტუდენტები; II - მაგისტრატურის სტუდენტები; III - დოქტორანტურის სტუდენტები. არსებული განლაგებით წარმოჩენილია წარმომადგენლობის რაოდენობა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად.

ნაკლებად სავარაუდოა, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბაკავრიატის ან თუნდაც მაგისტრატურის სტუდენტმა სრულყოფილად წარმოაჩინოს დოქტორან-

---

[44] იხ: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

[45] Law on Higher Education of Poland, Act of 27 July 2005

ტის უფლებები და ინტერესები, რაც საკმაოდ რთულია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები არსობრივად და თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ფაკულტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში სტუდენტთა წარმომადგენლობა უნდა განისაზღვროს შესაბამის საგანამანთლებლო პროგრამაზე რეგისტრირებულ სტუდეტთა რაოდენობის შესაბამისად, პროპორციულად.

§2. არჩევნები

სტუდენტთა თვითმმართველობის არჩევნები მხოლოდ შემცირებული მოდელია სახელმწიფო არჩევნებისა, რომელიც ამა თუ იმ ორგანოსა თუ თანამდებობის პირის არჩევის მიზნით ეწყობა. თვითმმართველობის არჩევნებზე საუბრისას უნდა გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც უნდა შევეხოთ და დაწვრილებით განვიხილოთ, ესენია: პრინციპები, არჩევნების პერიოდულობა, საარჩევნო ადმინისტრაცია, ვადები, კენჭისყრა, შედეგები, შედეგების გასაჩივრება, შუალედური არჩევნები.

1. **პრინციპები -** სტუდენტთა თვითმმართველობის არჩევნები უნდა ემყარებოდეს იმ აღიარებულ პრინციპებს, რომლებსაც ემყარება ნებისმიერი დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები.[46]

სტუდენტთა თვითმმართველობა უნდა აირჩეს ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე.[47]

---

[46] იხ: ადამინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი; საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი, 70-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[47] იხ: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

ფარული კენჭისყრა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის ფარულობას. არჩევნები რეალურად უნდა უქმნიდეს ამომრჩეველ სტუდენტს იმის განცდას, რომ მის მიერ გაკეთებული არჩევანი არ გაცხადდება, არ გახდება ცნობილი ნებისმიერი სხვა პირისათვის. ნებისმიერი ქმედება მიმართული არჩევნების ფარულობის წინააღმდეგ არის შესაბამისი საარჩევნო უბნის შედეგების ბათილობის აბსოლუტური საფუძველი.

საყოველთაოობა გულისხმობს იმგვარი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფას, როდესაც ყველა სტუდენტს, შეძლებისდაგვარად, გააჩნია საშუალება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და ფლობს საჭირო ინფორმაციას.

არჩევნების თანასწორობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ყველა სტუდენტს - ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა არჩევნების შედეგებზე მოახდინოს გავლენა.[48] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა სტუდენტს უნდა გააჩნდეს ხმათა თანაბარი რაოდენობა, რათა თანასწორობის პრინციპი იყოს უზრუნველყოფილი. არჩევნების შედეგების დადგენის დროს ყოველი ხმა თავიდანვე ერთნაირი შესაძლებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული.[49]

პირდაპირი არჩევნები გულისხმობს ამომრჩევლის მიერ უშუალო, პირდაპირ მონაწილეობას არჩევნებში, როდესაც იგი თავად ირჩევს მის წარმომადგენელს და არა ირიბად, ანუ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

2. **არჩევნების პერიოდულობა** - არჩევნების პერიოდულობა პირდაპირ კავშირშია სტუდენტური თვითმმართველობის ერთი მოწვევის უფლებამოსილების ვადასთან. ამიტომაც იგი განსაზღვრული უნდა იყოს სტუდენტური თვითმმართველობის

---

[48] იხ: ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008, 145-146

[49] სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლოს 09.03.2000 წლის გადაწყვეტილება, ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით, თბილისი, 2004, 318

დებულებით, თუმცა უმჯობესი იქნება, თუკი იგი ასახვას ჰპოვებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაში. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა იყოს მოცემული უმაღლესი განათლების შესახებ კანონმდებლობაში, რაც საქართველოს სინამდვილეში ჯერ არ განხორციელებულა.[50]

სტუდენტთა თვითმმართველობაში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტი და ასევე არჩევნებში მონაწილეობას უნდა იღებდეს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი. ამიტომაც არჩევნების პერიოდულობა უნდა იყოს სამივე საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის პროპორციული, რათა სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების უმრავლესობას ჰქონდეს საშუალება თავისი წარმომადგენელი აირჩიოს თვითმმართველობაში ან თავად იყაროს კენჭი.

საქართველოს შემთხვევაში, როგორც წესი, სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევა 2 წელიწადში ერთხელ, რაც სრულიად გონივრული ვადაა, ვინაიდან ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორატურის სტდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ერთხელ მაინც აირჩიონ ან იყვნენ არჩეულნი სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოში.

3. **საარჩევნო ადმინისტრაცია** - სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო ადმინისტრაცია პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ცენტრალური და საფაკულტეტო. თითოეულ მათგანს თავისი საქმიანობის სფერო და უფლებამოვალეობები გააჩნია. ისინი ფუნქციურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თუმცა საერთო პრინციპებს ემყარებიან, კერძოდ, ორივე მათგანი საარჩევნო ადმინისტრაციის დროებით ორგანოებს წარმოადგენენ, რომლებიც იქმნება არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის და ასრულებს მუშაობას არჩევნების შემაჯამებელი ოქმის წარმოდგენისთანავე.

ცენტრალურ საარჩევნო ადმინისტრაციას წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის ***ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო)***, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების

---

[50] შეად: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

ორგანიზებასა და ჩატარებას. ცესკო უნდა იყოს დაკომპლექ-ტებული პროფესიონალი და გამოცდილი კადრებით, თუმცა ამავდროულად მასში უნდა შედიოდნენ ასევე სტუდენტებიც, რომელთათვისაც უცხო არაა სტუდენტური გარემო, ვინაიდან ცესკო არ უნდა იყოს განყენებული, რეალობას მოწყვეტილი ორგანო.

ცესკოს დაკომპლექტება საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული არჩევნების წარმართვა კენჭისყრის თარიღის გამოცხადებიდან, არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე. უმჯობესი იქნება, თუკი მის შემადგენლობას არ განსაზღვრავს სტუდენტური თვითმ-მართველობა დამოუკიდებლად, აუცილებელია გამჭვირვალო-ბისათვის ცესკო დაკომპლექტდეს პარიტეტულ საწყისებზე, კერძოდ, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ წარადგინონ თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები ცესკოში, რომლებიც თავის მხივ ერთმანეთთან შეთანხმებით აირჩევენ ცესკოს თავმჯდო-მარეს. ამ შემთხვევაში დაცული იქნება უნივერსიტეტის, რო-გორც არჩევნების დამფინანსებლის ინტერესები, როგორც ეკონომიკური, ისე არამატერიალური თვალსაზრისით, ვინაიდან არჩევნების დაბალი დონე პირველ რიგში თავად უნივერსიტეტის პრესტიჟს უქმნის საფრთხეს.

ცესკოს წევრთა რაოდენობა სასურველია იყოს კენტი, ხოლო რაც შეეხება მის ზუსტ ოდენობას, იგი უნდა განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობისა და საარჩევნო დატვირთვის შესაბა-მისად, თუმცა საშუალო რაოდენობა მერყეობს 5-დან 7-მდე.

ცესკო აწესრიგებს საარჩევნო დებულებით, ნორმებით განუ-საზღვრელ საარჩევნო პროცედურებს, განმარტავს და აზუსტებს ნორმებს.

შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ზოგადი უფლებამო-სილებები, რომლებიც საერთოა ნებისმიერი სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის: უზრუნველყოფს არჩევნების ჩატარებას, გამართვას, ახდენს სხვადასხვა პროცედურულ საკითხთა რეგლამენტაციას, აკომპლექტებს საუბნო კომისიებს, უზრუნველყოფს საარჩევნო

დოკუმენტაციის, ბიულეტენების სისწორესა და გამართულობას, განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებს, საჩივრებს, ადგენს და აზუსტებს ამომრჩეველთა სიებს, ადგენს კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმს და ა.შ.[51]

საფაკულტეტო დონეზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარმოადგენს ***საუბნო საარჩევნო კომისია***. კომისია შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე იყოს ერთ ფაკულტეტზე, ამას ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობა განაპირობებს. საუბნო საარჩევნო კომისიების ძირითადი საზრუნავი უშუალოდ კენჭისყრის დღეა, ვინაიდან ყველა სხვა საორგანიზაციო საკითხს უზრუნველყოფს ცესკო კენჭისყრის დაწყებამდე.

საუბნო საარჩევნო კომისია უნდა დაკომპლექტდეს წევრთა იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია არჩევნების გამართულად ჩატარებისათვის. წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ხელოვნურად, არამიზნობრივად გაზრდილი. როგორც წესი, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა მერყეობს 5-დან 11-მდე, რასაც უშუალოდ უბანზე არსებულ სტუდენტთა რაოდენობა განაპირობებს. კომისიის მუშაობის ეფექტურობისთვის უმჯობესია რაც შეიძლება კომპაქტურად, მიზნობრივად იქნეს დაკომპლექტებული.

საფაკულტეტო დონეზე საუბნო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს მის უბანზე კენჭისყრის პროცედურის გამართვასა და სათანადო პირობების შექმნას, ითვლის ხმათა რაოდენობას, ადგენს კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმს, უზრუნველყოფს კენჭისყრის ოთახის სათანადოდ მოწყობას, საარჩევნო ატრიბუტიკის მწყობრში ყოფნას, ინფორმაციის გამოკვრას საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის უბანზე წესრიგის დაცვას და ა.შ.[52]

4. **ვადები** - საარჩევნო თემატიკაში ვადები საკვანძო საკითხია, ვინაიდან ნებისმიერი საარჩევნო კოდექსი თუ კანონი, რომე-

---

[51] იხ: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ვითმმართველობის არჩევნების დებულების მე-20 მუხლი.
[52] იქვე, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ლიც არჩევნების პროცედურებს აწესრიგებს თითქმის მთლიანად ვადებს ეთმობა.

ვადების მრავალი სახე არსებობს, დაწყებული არჩევნების თარიღიდან, ნებისმიერი მარტივი პროცედურის ხანგრძლივობით დასრულებული.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აღვნიშნოთ არჩევნების ხანგრძლივობა, რა ვადაში უნდა ჩატარდეს იგი და როგორ შეიძლება ვადების მოწესრიგება გონივრულ ფარგლებში. გასათვალისწინებელია სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ინდივიდუალურობა და სპეციფიკა, რასაც მისი სტუდენტური ხასიათი განაპირობებს. ამიტომაც ნებისმიერი გაჭიანურებული ვადა და გადამატებული პროცედურული წინააღმდეგობები ხელოვნურად შექმნილის სტატუსს იძენს.

საორიენტაციო მოცულობად შესაძლებელია 1 თვე მივიჩნიოთ, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში სრულიად შესაძლებელია გამართული, დახვეწილი და დემოკრატიული არჩევნების ორგანიზება და ჩატარება.

ნებისმიერი პროცედურისათვის უნდა იყოს დადგენილი გონივრული და მიზნობრივი ვადა. კანდიდატთა რეგისტრაციისათვის ვადა უნდა მერყეობდეს 5-დან 10 დღემდე, რათა პასიური საარჩევნო უფლების გამოყენების მსურველებმა მოასწრონ ამ უფლების ჯეროვანი და სრული განხორციელება.

არჩევნების შედეგებისა და ნებისმიერი ქმედების გასაჩივრებისათვის საკმარისია 2 დღიანი (იგულისხმება სამუშაო დღეები) ვადაც. ხარვეზის აღმოსაფხვრელად, თუკი ასეთს დაადგენს ცესკო, პირს უნდა მიეცეს გარკვეული პერიოდი, რომელიც არ შეიძლება ერთ სამუშაო დღეზე ნაკლები იყოს.

5. **რეგისტრაცია** - კანდიდატთა რეგისტრაცია საკმაოდ რთული და საჭირბოროტო საკითხია. მას უკავშირდება შემდგომში კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობა და ვინაობა. რეგისტრაციის მსვლელობისას ნებისმიერმა, თუნდაც უმნიშვნელო დარღვევამ, შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შედეგები, მათ შორის გადამწყვეტი გავლენა იქონიოს თავად არჩევების შედეგებზეც.

რეგისტრაციის საორიენტაციო ვადა განისაზღვრება 5-10 დღიანი პერიოდით, თუმცა შესაძლოა შეგვხვდეს განსხვავებული ვადებიც. რეგისტრაციას ახორციელებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, იგი იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის რეგისტრაციაში გატარების ან ხარვეზის არსებობის გამო, მის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

კანდიდატთა რეგისტრაციის ორი ძირითადი მეთოდი არსებობს და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება კანდიდატის ორგანიზაციული კუთვნილებიდან გამომდინარე. ერთმანეთისგან განასხვავებენ დამოუკიდებელ კანდიდატს, რომელიც დამოუკიდებლად, მაჟორიტარული წესით იყრის კენჭს და ორგანიზაციის წარმომადგენელს. ეს უკანასკნელი რეგისტრირდება კონკრეტული ახალგაზრდული მოძრაობის, არასამეწარმეო იურიდიული პირის ან არარეგისტრირებული კავშირის სახელით.

საარჩევნო დებულებით (მომწესრიგებელი ნორმებით) შეიძლება დადგინდეს კრიტერიუმები დარეგისტრირების მსურველთათვის. გარდა ტექნიკური საკითხებისა (სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობა, გაცემული უფლებამოსილი პირის მიერ; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ფოტოსურათი და ა.შ.), როგორც წესი, დგინდება შინაარსობრივი მოთხოვნები, მაგალითისთვის: მხარდამჭერთა სიების წარმოდგენა.

ორგანიზაციის წარმომადგენლისა და დამოუკიდებელი კანდიდატის მიმართ შესაძლებელია განსხვავებული მოთხოვნების განსაზღვრა, რაც კომპენსირდება თავად ორგანიზაციის რეგისტრაციისას დამატებითი წინაპირობების დადგენით. დამოუკიდებელი კანდიდატისათვის სავალდებულო მხარდამჭერთა რაოდენობა სიებში განისაზღვრება ფაკულტეტზე რეგისტრირებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 1-დან 5%-მდე.

რაც შეეხება ორგანიზაციებსა და მათი კანდიდატების რეგისტრაციას, ამ შემთხვევაში მხარდამჭერთა რაოდენობა განსხვავებულია. ამგვარ რეგისტრაციას თავისი მახასიათებელიც გააჩნია, კერძოდ არჩევნებისთვის რეგისტრირდება ჯერ თავად ორგანიზაცია, რომელიც შემდგომ წარმოადგენს თავის

კანდიდატთა სიებს შესაბამის ფაკულტეტსა და კურსებზე. ორგანიზაცია რეგისტრირდება ფაკულტეტების მიხედვით, რისთვისაც მხარდამჭერთა რაოდენობის მინიმალური ზღვარი ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10-დან 20%-მდე მერყეობს.

ცალკე უნდა განვიხილოთ დამკვირვებელთა და წარმომადგენელთა რეგისტრაცია, რომელიც კანდიდატთა რეგისტრაციას მოსდევს.

წარმომადგენელთა რეგისტრაცია უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან იგი არაა დამოკიდებული ცესკოს მიერ მიღებულ თუ მისაღებ გადაწყვეტილებაზე. ცესკო ვალდებულია დაარეგისტრიროს კანდიდატის მიერ შესაბამისი განცხადების საფუძველზე წამოყენებული წარმომადგენელი. ***ნებისმიერი სახის შეზღუდვა ამ უფლებისა წარმოადგენს პირდაპირ ჩარევას საარჩევნო პროცედურაში კანდიდატის საწინააღმდეგოდ და არის შესაბამის უბანზე კენჭისყრის შედეგების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.***

დამკვირვებლები იყოფა ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ დამკვირვებლებად. შესაძლებელია თვითმმართველობამ დაუშვას მხოლოდ ერთი სახე დამკვირვებლობისა, თუმცა იგი არაა უფლებამოსილი დამკვირვებლის ინსტიტუტი მთლიანად გააუქმოს.

დამკვირვებლების მიმართ საარჩევნო ნორმებით დგინდება სავალდებულო მოთხოვნები რეგისტრაციისათვის, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. ცესკო უფლებამოსილია შეზღუდოს დამკვირვებელთა რაოდენობა კენჭისყრის ოთახის მოცულობიდან, ზომებიდან გამომდინარე, თუმცა აღნიშნულის დაწესება წარმომადგენლის მიმართ დაუშვებელია.

6. კენჭისყრა – კენჭისყრის პროცედურების შესრულებასა და დაცვაზე კონტროლი აკისრია საუბნო საარჩევნო კომისიას.

კომისია უშუალოდ ზედამხედველობს კენჭისყრის ოთახში არსებულ გარემოს, ასევე აწესრიგებს ამომრჩეველთა ნაკადს, ხელს უწყობს ყველა სტუდენტისათვის თანაბარი პირობების მქონე გარემოს შექმნას.

კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დრო მაქსიმალური სიზუსტით უნდა იყოს დაცული, დაუშვებელია კენჭისყრისათვის დადგენილი დროის გაზრდა ან შემცირება. ნებისმიერი დარღვევა თუ გადაცდომა საარჩევნო ნორმებიდან უნდა აღინიშნოს ოქმში, ამასთან დამკვირვებლებსა და წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ საშუალება დაუბრკოლებლად გააკეთონ აღნიშვნები.

საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო უბანი დახუროს ისეთი მნიშვნელოვანი დარღვევის აღმოჩენისას, როდესაც ფაქტიურად შეუძლებელია კენჭისყრის პროცედურის შემდგომი გაგრძელება.

კენჭისყრის პროცედურები დაწვრილებით უნდა იყოს გაწერილი შესაბამის საარჩევნო დებულებაში და ისინი უნდა აწესრიგებდნენ ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო საკითხს, ამასთან მათში უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა ძირითადი პრინციპი და დებულება სახელმწიფო არჩევნების კენჭისყრის პროცედურისა.

7. **შედეგები -** არჩევნების შედეგებს აჯამებს, ადგენს და აცხადებს ცენტრალური საარჩევნო კომისია. მას შემდეგ რაც დასრულდება კენჭისყრის პროცედურა, ცესკო იღებს და აჯამებს მონაცემებს, რომლებიც ყველა საარჩევნო უბნიდან შემოდის.

არჩევნების შემაჯამებელი ოქმი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში, ვინაიდან სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება თვითმმართველობის წევრთა ვინაობა, ასევე უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოების პოტენციური წევრები.

არსებობს სავალდებულო მონაცემები, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს შემაჯამებელ ოქმში, როგორც არჩევნების დასკვნით, დაწვრილებითი ინფორმაციის შემცველ დოკუმენტში. როგორც წესი, შემაჯამებელ ოქმში უნდა აღინიშნოს მინიმუმ შემდეგი სახის ინფორმაცია: ა) არჩევნების დასახელება; ბ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა; გ) ამომრჩეველთა რაოდენობა ფაკულტეტებზე; დ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა; ე) დაბეჭდილ ბიულეტენთა საერთო რაოდენობა; ვ) ფაკულტეტებზე მიღებულ ბიულეტენთა რა-

ოდენობა; ზ) გამოყენებულ, გაფუჭებულ და ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა; თ) საარჩევნო უბნისა და ფაკულ-ტეტის დასახელება; ი) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო.[53]

შემაჯამებელი ოქმი უნდა დაამტკიცოს ცესკომ, არანაკლებ ცესკოს სრული შემადგენლობის 2/3-ის ოდენობით. ასევე აუცი-ლებელია ოქმს ხელს აწერდეს ცესკოს ყველა წევრი, მიუხედავად იმისა ეთანხმება თუ არა იგი შემაჯამებელი ოქმის შინაარსს.[54]

შემაჯამებელი ოქმი უნდა გამოქვეყნდეს. სასურველია იგი გამოიკრას როგორც თვალსაჩინო ადგილას, ისე ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული საშუალებების (უნივერსიტეტის, სტუდენ-ტური თვითმმართველობის ოფიციალური ვებ-გვერდი და ა.შ.) გამოყენებით.

8. შედეგების გასაჩივრება - საარჩევნო ნორმები უნდა განსაზღვრავდნენ როგორც არჩევნების შედეგების გასაჩივ-რების შესაძლებლობას, ასევე მასთან დაკავშირებულ პროცე-დურულ საკითხებს.

აუცილებელია საჩივარში მიეთითოს თუ შემაჯამებელი ოქმის კონკრეტულად რა ნაწილი საჩივრდება, რას ეყრდნობა მოთხოვნა, ასევე არსებობს თუ არა რაიმე მტკიცებულება. საჩივრის შეტანის ვადა არ უნდა იყოს შემაჯამებელი ოქმის გამოცხადებიდან ერთ სამუშაო დღეზე ნაკლები.

შემაჯამებელი ოქმი, ოქმის ნაწილი საჩივრდება ცესკოში, რომელიც ვალდებულია ოპერატიულად, გონივრულ ვადებში განიხილოს საჩივარი და გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვე-ტილება. ცესკომ დაწვრილებით უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, საჭიროებისამებრ სთხოვოს შესაბამის პირებს გამოცხადება, ჩაატაროს ღია სხდომები და ა.შ.

ცესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

---

[53] შეად: იქვე, 46-ე მუხლი მე-4 პუნქტი.

[54] თუკი ცესკოს წევრი არ ეთანხმება ოქმში არსებულს რაიმე მონაცემს და გააჩნია განსხვავებული აზრი, აუცილებელია ოქმის გრაფაში, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისთვის იქნება გამო-ყოფილი, ჩაიწეროს განსხვავებული აზრი და კომისიის წევრმა აღნიშნული დაადასტუროს ხელმოწერით.

9. შუალედური არჩევნები - შუალედური არჩევნები არცთუ ისე გავრცელებულია სტუდენტურ თვითმმართველობებში, ვინაიდან ერთი მოწვევის თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადა საშუალოდ 2 წელია. ამ პერიოდში დამატებით არჩევნების ორგანიზება გაუმართლებელი ხარჯია, თუმცა არ შეიძლება ამგვარი მიდგომა ერთგვაროვნად გავავრცელოთ ყველა შემთხვევაზე.

სტუდენტური თვითმმართველობა ფაკულტეტების მიხედვით კომპლექტდება და უპირველეს ყოვლისა, თვითმმართველობის გაგება დაკავშირებულია სწორედ ფაკულტეტის თვითმმართველობასთან. ამიტომაც თუკი ფაკულტეტის თვითმმართველობის დელეგატთა უმრავლესობას უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვს და არ არსებობენ მათი უფლებამონაცვლეები, შესაძლებელია ჩატარდეს შუალედური არჩევნები გამოკლებული დელეგატების შესავსებად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული პირები დელეგატის სტატუსს იღებენ თავად მოქმედი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

შუალედური არჩევნები მნიშვნელოვნად განსხვავდება მორიგი არჩევნებისაგან. თუკი მხოლოდ ერთ ფაკულტეტზე ტარდება შუალედური არჩევნები, ან რამდენიმე ისეთ ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტთა რაოდენობების დაჯამების შედეგად შესაძლებელია მათი ერთობლივ საარჩევნო უბანზე გამწესება, არჩევნებს ორგანიზებას უწევს და საუბნო დონეზე ატარებს თავად ცესკო. ამასთან ვადები გაცილებით მოკლე უნდა იყოს მორიგ არჩევნებთან შედარებით.

შუალედური არჩევნების არსებობის შემთხვევაში, ყველა წვრილმანი, საარჩევნო პროცედურები და უფლებამოსილებები უნდა განისაზღვროს ან ერთიან საარჩევნო დებულებაში, მორიგ არჩევნებთან ერთად, ან იერარქიით იმავე სამართლებრივი აქტით, რითაც მორიგი არჩევნების წესებია დადგენილი.

ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რაც განსხვავებულად არ წესრიგდება შუალედური არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებით, ვრცელდება მორიგი არჩევნების წესები.

§3. წევრობა

§3.1. წევრის სტატუსის მოპოვება

სტუდენტური თვითმმართველობის წევრი შეიძლება რამდენიმე ტერმინით იყოს მოხსენიებული, რასაც კონკრეტული უნივერსიტეტი და მისი თვითმმართველობის მიდგომა განაპირობებს. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ასევე შესაძლებელია მოიხსენიებოდეს უბრალოდ „წევრად“, „დელეგატად“, „დეპუტატად“ და ა.შ. ერთმანეთთან არსობრივად და ინსტიტუციონალურად ყველაზე ახლოს მდგომი ტერმინები მაინც წევრი და დელეგატია.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრის სტატუსის მოპოვების ერთადერთი და აუცილებელი გზა არჩევნებია, თუმცა განსხვავებულია თავად არჩევნებისა და სტატუსის მოპოვების უშუალო მეთოდიკა.

ტრადიციული გზა არჩევნებში გამარჯვება, კერძოდ კი კონკრეტულ კურსზე - საარჩევნო ოლქში გამოყოფილ მანდატების რაოდენობაში მოხვედრაა. აღნიშნული პირდაპირი საშუალებაა იმისა, რომ პირმა მოიპოვოს თვითმმართველობის წევრის სტატუსი.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა ჩანაცვლებისას ასევე ხდება დელეგატის სტატუსის მოპოვება, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ჩანაცვლება ხორციელდება არჩევნებში მონაწილე იმ პირის მეშვეობით, რომელმაც ვერ დააგროვა გამარჯვებისთვის საკმარისი ხმათა რაოდენობა. კონკრეტული თვითმმართველობა თავად წყვეტს როგორი წესი დაადგინოს ჩანაცვლებისთვის, თუმცა ერთი რამ ყველასთვის სავალდებულო და საერთოა: პირთა წრე, რომელთაგანაც უნდა განხორციელდეს ჩანაცვლება, უნდა განისაზღვროს შესაბამისი ფაკულტეტის არჩევნებში მონაწილე სტუდენტებით და წესი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

წევრის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია შუალედური არჩევნების საშუალებით, თუმცა ამ შემთხვევაში ხორციელდება მორიგი არჩევნების მსგავსი პროცედურა. განსხვავებულია

მხოლოდ უფლებამოსილების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მოქმედი მოწვევის სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებამოსილების დარჩენილ ვადას.

§3.2. წევრის სტატუსის შეწყვეტა

წევრობის შეწყვეტა რამდენიმე საფუძველს შესაძლოა უკავშირდებოდეს, მათგან უმრავლესობა საერთოა ნებისმიერი სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებთან.

შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ უფლებამოსილების შეწყვეტის ძირითადი საფუძვლები (მათ შორის ვადამდე შეწყვეტისაც):

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;

ბ) პირადი განცხადება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციაში მუშაობის დაწყება;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობა;

ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ზ) გარდაცვალება.

უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებიდან უნდა გამოვყოთ უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევა, ვინაიდან აღნიშნულის გარდა ყველა ზემოთხსენებული შემთხვევა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტა გავრცელებული საფუძველია როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებში. პირს უნდა ჰქონდეს საშუალება საკუთარი თავისუფალი ნების ფარგლებში მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყეტილება. ასევე ტიპური და საყოველთაო გარემოებებია უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა გარდაცვალების, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად და გარდაცვლილად გამოცხადება, ამიტომაც

მათზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. გაცილებით მნიშვნელოვანია თვითმმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა საფუძვლები განვიხილოთ დაწვრილებით.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - ამ საფუძვლით დელეგატის უფლებამოსილების შეწყვეტა პირდაპირ კავშირშია თავად თვითმმართველობის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის არსობასთან. დელეგატი წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებს, იგი (სტუდენტი) არჩეული იყო დელეგატის უფლებამოსილებების გასახორციელებლად, შესაბამისად, თუკი მას აღარ ექნება სტუდენტის სტატუსი, სრულიად ლოგიკურია, რომ შეუწყდეს დელეგატის სტატუსიც.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა მოწესრიგებულია საკანონმდებლო დონეზე, ამიტომაც სწორედ დადგენილი წესითა და ვადებში უნდა განხორციელდეს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მასთან იქნება დაკავშირებული.

დისციპლინური პასუხისმგებლობა - დისციპლინური პასუხისმგებლობა დადგენილია როგორც უნივერსიტეტის წესდებითა და შესაბამისი აქტებით, ისე საკუთრივ სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით, თუმცა მხოლოდ ამ უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს თუ რა შემთხვევებს მოჰყვება დელეგატისთვის სტატუსის შეწყვეტა.

დებულებით შესაძლებელია დადგინდეს დელეგატის მიერ თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის არმიღება, დაკისრებული უფლება-მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება, დებულებისა და უნივერსიტეტის წესდების დარღვევა, როგორც დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი. თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია ფაქტი დადასტურდეს ფორმალური თვალსაზრისით, კერძოდ, ნებისმიერი დარღვევა უნდა შეაფასოს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესმა ორგანომ - საერთო კრებამ, რომელიც გადაწყვეტს დარღვევის სიმძიმეს და მის შედეგებს. კრებამ კენჭი უნდა უყაროს დელეგატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს და მხოლოდ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თვითმმართველობის წევრს უწყდება უფლებამოსილება ვადაზე ადრე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრ-აციაში მუშაობის დაწყება - მსგავსი საფუძვლის არსებობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობს.

სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტთა ერთობლიობაა, რომლებიც სტუდენტებს წარმოადგენენ და შესაბამის გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად, საკუთარი პიროვნული შეხედულებისამებრ იღებს. თუკი სტუდენტი მუშაობას იწყებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ჩნდება საფრთხე, რომ მისი სახით ზეგავლენა განხორციელდება თვითმმართველობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ზოგადი პრინციპის თანახმად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში მუშაობის დაწყებისთანავე დელეგატს ავტომატურად უწყდება უფლებამოსილება, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს რა კომპეტენცია გააჩნია და რა თანამდებობა უკავია პირს.[55]

სტუდენტური თვითმმართველობა თავად წყვეტს, თუ რომელ მიდგომას აირჩევს ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი საკუთარ დებულებაში განსაზღვრავს, აზუსტებს თანამდებობებსა და კომპეტენციებს, რასაც უკავშირებს დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

§3.3. მანდატი

სტუდენტური თვითმმართველობის წევრის სტატუსი არ გულისხმობს განსაკუთრებული პრივილეგიების არსებობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა სტუდენტებთან შედარებით. ერთადერთი უპირატესობა რაც თვითმმართველობის წევრს გააჩნია, არის უფლება მონაწილეობა

---

[55] არსებობს განსხვავებული მიდგომაც, კერძოდ შესაძლებელია მოხდეს თანამდებობის დაკონკრეტება, ცენზი დაწესდეს ადმინისტრაციული თანამდებობის სახით და ა.შ.; შეად: თსუ სტუდენტური თვითმმართველობის დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

მიიღოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების საქმიანობაში და ზოგადად, უნივერსიტეტის მართვაში.

თვითმმართველობის წევრის მიმართ დაუშვებელია დადგინდეს რაიმე სახის შეღავათი, შიდასაუნივერსიტეტო პრივილეგია და სხვ. დელეგატი ვერ ისარგებლებს რამენაირი იმუნიტეტითა და ინდემნიტეტით. ნებისმიერი მსგავსი შეღავათის დადგენა და განსაზღვრა არის უფლებამოსილების გადამეტება და არაა შესასრულებლად სავალდებულო.

თავი V. სტრუქტურა და დებულება

§1. წარმომადგენლობითი ორგანოები

სტუდენტთა თვითმმართველობა თავისი ბუნებით წარმომადგენლობითი ხასიათის მატარებელია და სტუდენტების წარმომადგენლობაზეა დაფუძნებული, თუმცა შიდა სტრუქტურაში მას თავადაც გააჩნია წარმომადგენლობითი ორგანოები.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი შიდა სტრუქტურა გააჩნია ამა თუ იმ უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას, შესაძლებელია გამოვყოთ ორი ძირითადი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც საერთოა ნებისმიერი მათგანისათვის: ცენტრალურ დონეზე - ***საერთო კრება***, ხოლო საფაკულტეტო დონეზე - ***საფაკულტეტო საბჭო***.

1. საერთო კრება სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა და მის გადაწყვეტილებებს ყველაზე დიდი სამართლებრივი ძალა გააჩნია თვითმმართველობაში. საერთო კრება აერთიანებს სტუდენტური თვითმმართველობის აბსოლუტურად ყველა წევრს. საერთო კრება სწორედ ის ორგანოა, რომელიც ნათლად გამოხატავს თვითმმართველობის აზრს, მიდგომას თუ რაიმე პოზიციას, შესაბამისად მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მნიშვნელოვანი და შიდა იერარქიაში უმაღლესია.

საერთო კრების ჩატარებასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელია თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები, თუმცა პირველ სხდომის ჩატარებას, როგორც წესი, უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის ცესკო წინა მოწვევის თვითმმართველობის ხელმძღვანელობასთან ერთად.

კრების სხდომებს უძღვება სხდომის თავმჯდომარე, რომელიც შესაძლებელია აირჩიონ ყოველი სხდომისთვის, ან გავრცელებული წესის თანახმად, თვითმმართველობის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა (პრეზიდენტი, თავმჯდომარე) შეითავსოს აღნიშნული ფუნქციის განხრციელებაც. სხდომაზე ხდება ასევე მდივნის არჩევა, რომელსაც ევალება

კონკრეტული სხდომის ოქმის წარმოება და სხდომის თავმჯდომარის დახმარება შეაბამის პროცესუალურ საკითხებში.

სხდომის გამართვისა და სავარაუდო დღის წესრიგის შესახებ დელეგატებს უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა წევრებმა დროულად შეძლონ მომზადება და საკითხების გაცნობა. სხდომის გამართვის ვადები შესაძლებელია დადგინდეს როგორც დებულებით, ისე სხვა სპეციალური აქტით, ვთქვათ საერთო კრების რეგლამენტით და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხდომის ჩატარებათა პერიოდულობას, რომელიც ძირითად შემთხვევაში მერყეობს წელიწადში ერთიდან სამ სხდომამდე, თუმცა თვითმმართველობის დებულებით შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებული პერიოდულობა, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთი სხდომისა. დებულებითა და რეგლამენტით დგინდება ასევე რიგგარეშე სხდომების მოწვევის ინიციატორების წრე და პირობები.

სხდომის ოქმში შეიტანება ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის: სხდომის გამართვის თარიღი, საერთო კრების სრული შემადგენლობის ოდენობა, სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა, დღის წესრიგი, კენჭისყრაზე გატანილი საკითხები, კენჭისყრის შედეგები და სხვ. ოქმს ხელს უნდა აწერდეს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი, თუმცა აუცილებელია ოქმს თან ერთვოდეს ან უშუალოდ მასში იყოს დაფიქსირებული სხდომაზე დამსწრე წევრთა ვინაობა და შესაბამისი დადასტურება ხელმოწერით.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით. თვითმმართველობის დებულებით შესაძლებელია განისაზღვროს სხვადასხვა ქვორუმი კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას. თავად დებულების მიღებისა და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით, რაც განპირობებულია თავად დებულების სამართლებრივი ბუნებითა და მნიშვნელობით.

აუცილებელია შევეხოთ საკითხთა წრეს, რომლის გადაწყვეტაც საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვ-

ნება, თუმცა ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მიზანშეწონილი არაა საერთო კრების უფლებამოსილებათა ძალზედ გადატვირთვა და პრაქტიკულ საკითხთა მიკუთვნება მისი კომპეტენციის სფეროსათვის.

საერთო კრება კოლეგიური ორგანოა, რომელიც ყველა დელეგატს აერთიანებს, მათი ხშირად შეკრება და ამასთან, საჭირო ქვორუმის არსებობა კი საკმაოდ პრობლემურია. დელეგატები სტუდენტები არიან და ისინი არ უნდა მოსწყდნენ სასწავლო პროცესს, მითუმეტეს, რომ მსგავსი შეკრებები არა მხოლოდ მონაწილეობას, არამედ კარგ ორგანიზაციულ უზრუნველყოფასაც მოითხოვენ, რაც კვლავაც სტუდენტების (დელეგატების) კომპეტენციას განეკუთვნება.

საერთო კრების უფლებამოსილება მოიცავს სტუდენტური თვითმმართველობის ყველაზე მნიშვნელოვან და საკვანძო საკითხებს, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს თვითმმართველობისა და მისი საქმიანობისათვის.

უფლებამოსილებათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია თვითმმართველობის ძირითადი სამოქმედო დოკუმენტის დებულების მიღება, ასევე მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. საერთო კრება სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტულ თვითმმართველობას შესაძლოა ნაკლები ქვორუმი ჰქონდეს დადგენილი, რაც ნამდვილად არაა მისაღები.[56]

თვითმმართველობის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, იქნება ეს პრეზიდენტი, თუ თავმჯდომარე, არჩევის საკითხი ასევე საერთო კრების უფლებამოსილებებს განეკუთვნება. საერთო კრება პირველსავე სხდომაზე ირჩევს თვითმმართველობის ხელმძღვანელს. არჩევნების პროცედურა და ქვორუმი დადგენილია თვითმმართველობის დებულებით. პრეზიდენტის (თავმჯდომარე) არჩევასთან

---

[56] ერთადერთი დასაშვებია რაოდენობის გამოთვლისას სიითი შემადგენლობის გათვალისწინება, თუმცა არაა მიზანშეწონილი თვითმმართველობის მთავარი სამართლებრივი აქტი დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით იყოს მიღებული.

ერთად საერთო კრება თავადვეა უფლებამოსილი განიხილოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი და საჭიროების შემთხვევაში, ვადამდე შეუწყვიტოს მას უფლებამოსილება.

თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ვიცე-პრეზიდენტი (თავმჯომარის მოადგილე), რომელთა თანამდებობაზე არჩევაც ასევე საერთო კრების უფლებამოსილებაა, თუმცა მისი განხორციელება აუცილებლად პრეზიდენტთან (თავმჯდომარესთან) შეთანხმებით უნდა მოხდეს.

სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირება და დამტკიცება ასევე ხორციელდება საერთო კრების მიერ, თუმცა ეს საკმაოდ პრობლემური საკითხია, ვინაიდან იგი პირდაპირ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტთანაა მიბმული და ხშირ შემთხვევაში შესაძლოა პრაქტიკაში ვერც მოხდეს რეალური ბიუჯეტის მიღება, ამ უკანასკნელის ტრადიციული მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაწერა და არა მთლიანად მისი შემუშავება.

თუკი შიდა სტრუქტურაში თვითმმართველობას განსაზღვრული აქვს მაკონტროლებელი ორგანოს არსებობა, აუცილებელია მისი ხელმძღვანელობა არჩეული იყოს საერთო კრების მიერ, ვინაიდან სწორედ აღმასრულებლებისგან დამოუკიდებელმა სუბიექტმა უნდა განახორციელოს საერთო კრების სახელით მათზე კონტროლი და ზედამხედველობა.

საერთო კრებას შესაძლოა გააჩნდეს მთელი რიგი სხვა უფლებამოსილებები, თუმცა ისინი უნდა იყოს რეალურად შესრულებადი და არა ზედმეტად აბსტრაქტული, ზოგადი, ამასთან მათმა არსებობამ არ უნდა განაპირობოს საერთო კრების უმიზნოდ ხშირი სხდომების ჩატარება. კრება ნებისმიერ თავის გადაწყვეტილებას აფორმებს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საშუალებით.

2. საფაკულტეტო საბჭო[57] სტუდენტური თვითმმართველობა ფაკულტეტებზეა მიბმული და მისი დაკომპლექტებაც

---

[57] ფაკულტეტის საბჭო ჰქვია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლობით

სწორედ ჯერ საფაკულტეტო და შემდგომ ცენტრალურ დონეზე ხდება, ასეთივე ქრონოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით.[58]

ფაკულტეტიდან არჩეული დელეგატები ქმნიან საფაკულტეტო საბჭოს, რომელიც ადგილობრივ, საფაკულტეტო დონეზე წარმოადგენს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს. მას გააჩნია საკუთარი სტრუქტურა და უფლებამოსილებები, რათა ჯეროვნად განახორციელოს ის მიზანი, რომლისთვისაც არის შექმნილი.

საფაკულტეტო საბჭოს ხელმძღვანელობს საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე. ისინი აირჩევიან საბჭოს მიერ პირველივე სხდომაზე. თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ თვითმმართველობის პრეზიდენტს და საფაკულტეტო საბჭოს წევრ დელეგატთა გარკვეულ რაოდენობას, რომელიც დადგენილი უნდა იყოს შესაბამისი თვითმმართველობის დებულებით. კენჭისყრის შედეგად არჩეული თავმჯდომარე ასახელებს მისი მოადგილის კანდიდატურას, რომელსაც ასევე ეყრება კენჭი. თვითმმართველობის დებულება უნდა ადგენდეს საფაკულტეტო საბჭოს თანამდებობის პირთა არჩევისათვის ხმათა სავალდებულო რაოდენობას.

საფაკულტეტო საბჭოს სხდომების გამართვისას ესაჭიროება სხდომის მდივანი, რომელიც აწარმოებს შესაბამისი სხდომის ოქმებს, უზრუნველყოფს საფაკულტეტო საბჭოს დოკუმენტაციის გამართულობას და შესაბამისობას კანონმდებლობასთან და თვითმმართველობაში მოქმედ წესებთან. მდივანი შესაძლოა აირჩეს როგორც კონკრეტული სხდომისთვის, ისე ზოგადად საფაკულტეტო საბჭოს უფლებამოსილების ვადით. მდივნის კანდიდატურის დასახელება შეუძლია სხდომის თავ-

---

ორგანოს. ამიტომაც ტერმინთა აღრევის თავიდან აცილების მიზნით, თვითმმართველობის საფაკულტეტო ორგანო საფაკულტეტო საბჭოდ იწოდება.

[58] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 45-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

მჯდომარეს ან ნებისმიერ სხვა დელეგატს, რომელიც ესწრება სხდომას. მდივნის არჩევისათვის ხმათა სავალდებულო რაოდენობას შესაძლოა განსაზღვრავდეს დებულება, თუმცა თუკი აღნიშნული მონაცემები არ არის მოცემული, უნდა მივმართოთ ზოგად წესს, რომლის საფუძველზეც მიიღება ჩვეულებრივი გადაწყვეტილებები.

თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანიც, ასევე ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომლის უფლებამოსილებაც საფაკულტეტო საბჭოს უკავშირდება, უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი საფაკულტეტო საბჭოს წევრს, დელეგატს.

საფაკულტეტო საბჭოს სხდომის მოწვევაზე უფლებამოსილია საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე, თვითმმართველობის პრეზიდენტი, საფაკულტეტო საბჭოს დელეგატთა გარკვეული ოდენობა, რაც დებულებით დგინდება. თუმცა ეს რაოდენობა ძირითადად მერყეობს საფაკულტეტო საბჭოს სრული შემადგენლობის 1/5-სა და 1/3-ს შორის. სავალდებულო მინიმუმი არ უნდა იყოს ძალზედ მაღალი, ვინაიდან მაღალი ზღვარი განაპირობებს ნების გამოვლების თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას.

სხდომათა სიხშირე (მინიმალური რაოდენობა) განისაზღვრება თვითმმართველობის დებულებით, თუმცა აღნიშნული ზღვარი მხოლოდ მინიმუმს აწესებს, რაც არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში სხდომათა გაცილებით მეტ რაოდენობას. საშუალოდ საფაკულტეტო საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ მაინც, ვინაიდან სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნება მისი მხრიდან ქმედითი საქმიანობა.

საფაკულტეტო საბჭოს უფლებამოსილებები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად მოიცავს საფაკულტეტო მნიშვნელობის საკითხთა წრეს. საბჭო ირჩევს საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სხდომის მდივანს. მათ მიერ უფლებამოსილების არაჯეროვანი განხორციელების, დებულების, უნივერსიტეტის წესდების ან საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში კენჭს უყრის მათ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს. აღსანიშნავია თვითმმართველობის დებულების შემუშავების პროცესში

საფაკულტეტო საბჭოს ჩართულობა, რომელიც იხილავს პროექტს და გამოთქვამს თავის შენიშვნებსა და წინადადებებს. სასურველია ანალოგიური პროცედურის განხორციელება მაშინაც, როდესაც ხდება არა ახალი დებულების მიღება, არამედ მოქმედ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

სტუდენტთა პროექტებისა და წინადადებების განხილვა ასევე შედის საფაკულტეტო საბჭოს უფლებამოსილებაში, თუმცა მხოლოდ იმ მოცულობით, რასაც თვითმმართველობის დებულება ადგენს, ვინაიდან შესაძლებელია მას ჰქონდეს, როგორც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების, ისე მისი მოწონებისა და საკითხის საბოლოო გადაწყვეტაზე უფლებამოსილი პირისათვის (ორგანოსათვის) გადაგზავნის უფლება. დეცენტრალიზებული ბიუჯეტის შემთხვევაში საფაკულტეტო საბჭო თავად წყვეტს დაფინანსდეს ან განხორციელდეს თუ არა კონკრეტული პროექტი.[59] საბჭო უფლებამოსილია თავად იყოს რაიმე ღონისძიების ორგანიზატორი. პროექტის განხორციელების შემთხვევაში იგი განსაზღვრავს საორგანიზაციო ჯგუფის შემადგენლობას, რომელიც უზრუნველყოფს ღონისძიების ორგანიზებასა და ჩატარებას.

ნებისმიერი საფაკულტეტო მნიშვნელობის პრობლემის არსებობის, წამოჭრის შემთხვევაში საფაკულტეტო საბჭო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა უზრუნველყოს მისი უსწრაფესი გადაწყვეტა, ასევე მისი შემდგომი პრევენცია, თუკი აღნიშნული სტუდენტური თვითმმართველობის ზოგადი უფლებამოსილებიდან და საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარეობს.

---

[59] გაცილებით გამართლებულია სტუდენტთა თვითმმართველობის ბიუჯეტი იყოს ცენტრალიზებული და საბოლოოდ მხოლოდ ერთ პირს შეეძლოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შესაბამისი მოლაპარაკებების წარმართვა და ურთიერთობების დამყარება ფინასნების გამოყოფასთან დაკავშირებით. ეს განაპირობებს უფრო მეტ გამჭვირვალეობასა და სისტემის ეფექტურად, გამართულად საქმიანობას.

§2. აღმასრულებელი ორგანოები

სტუდენტთა თვითმმართველობა, როგორც ორგანიზაციულ-სტრუქტურული წარმონაქმნი თავისთავად წარმომადგენლობითი ბუნების არსებობას გულისხმობს, თუმცა იმ მიზნების პრაქტიკული განხორციელებისათვის, რომლებიც თვითმმართველობას აქვს საკანონმდებლო დონეზე დასახული,[60] აუცილებელია ქმედითი ორგანოების შექმნა თავად თვითმმართველობის შიგნით.

თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში იგულისხმება ნებიმისმიერი ის ორგანო თუ თანამდებობის პირი, რომლის უფლება-მოვალეობებიც თვითმმართველობის საქმიანობის პრაქტიკული განხორციელებაა. რა თქმა უნდა, აქვე უნდა ვიგულისხმოთ თვითმმართველობის პრეზიდენტიც, თუმცა ამას ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

აღმასრულებელი ორგანოები სხვადასხვა სახელით მოიხსენიება, რაც დამოკიდებულია თავად თვითმმართველობის არჩევანზე. ზოგადად გვხვდება „დეპარტამენტი“, „განყოფილება“, „სამსახური“, „პალატა“, „კლუბი“, „კომიტეტი“ და ა.შ. ცალკე აღნიშვნის ღირსია კოლეგიური ორგანოები, რომლებიც იშვიათად, თუმცა მაინც შეიძლება ზოგიერთი თვითმმართველობის სტრუქტურაში აღმოვაჩინოთ. ეს უკანასკნელი ძირითადად გვხვდება მაშინ, როდესაც თავად აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები ერთიანდებიან საერთო სამოქმედო გეგმისა და პრინციპების შესამუშავებლად. თუმცა ყოველივე ამის განხორციელება შეხვედრით, არაოფიციალური კრების მეშვეობითაც შესაძლებელია.[61]

---

[60] იხ: იქვე, 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი

[61] ამგვარი მიდგომა გაცილებით გამართლებულია, ვინაიდან მიზანშეწონილი ნამდვილად არაა ზედმეტი, უფუნქციო ორგანოების შექმნა. სირთულეს არ წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელების საქმიანი შეხვედრების მოწყობა, რომელიც ატარებს არა ოფიციალური კოლეგიური, არამედ სათათბირო ორგანოს ხასიათს.

დეპარტამენტები, სამსახურები, განყოფილებები და ა.შ. იქმნება სტუდენტთა უფლებების დაცვის, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი, ინტელექტუალური ღონისძიებების ჩატარებისა და განხორციელების მიზნით, აგრეთვე თვითმ-მართველობის საქმიანობის შიდაორგანიზაციული მხარის ორ-განიზებისა და გამართვისათვის.

აღმასრულებელი ორგანოები შესაძლებელია დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად. ამგვარ დაყოფას თავად ორგანოთა საქმი-ანობის მიზნობრიობა განაპირობებს. ეს ჯგუფებია:

- სტუდენტთა უფლებების დაცვა

- ღონისძიებების ორგანიზება

- თვითმმართველობის საქმიანობის შიდაორგანიზაციული უზრუნველყოფა

პირველი ორი ჯგუფი ერთ კონტექსტში შეგვიძლია გავიყვა-ნოთ, ვინაიდან ისინი თვითმმართველობის ძირითადი მიზნების განხორციელებას ემსახურება. რაც შეეხება მესამე ჯგუფს, იგი უკვე პირველი ორი მათგანის დაუბრკოლებლად განხორ-ციელებას უზრუნველყოფს. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სწორედ ამ ჯგუფების ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე შესაძლოა დაიყოს ორგანოთა სახელწოდებები, თუმცა ამას მხოლოდ ლინგვისტური და არა შინაარსობრივი დატვირთვა ექნება.[62] პირველი ორი ჯგუფის ორგანოების აღსანიშნად პირობითად გამოვიყენებთ „განყოფილებას“, ხოლო მესამე ჯგუ-ფის ორგანოებისათვის კი - „სამსახურს“.

განყოფილებები შესაძლებელია დავყოთ შემდეგი სფეროების მიხედვით, (თუმცა ეს არ გამორიცხავს პრაქტიკაში რამდენიმე მათგანის ერთობლიობას, ან პირიქით ერთში რამ-დენიმეს არსებობას):

- სტუდენტთა უფლებების დაცვა

---

[62] ასე მაგალითად: პირველი ორ ჯგუფი დეპარტამენტი, გან-ყოფილება ან ცენტრი, ხოლო მესამე ჯგუფი კომიტეტი ან სამსახური. არა აქვს არსებითი მნიშვნელობა რომელ მათგანს რა ერქმევა, სასურველია ფუქციური დატვირთვიდან გამომდინარე მესამე ჯგუფს განსხვავებული სახელწოდება გააჩნდეს.

- კულტურა
- განათლება და მეცნიერება
- ტურიზმი
- სპორტი

განყოფილება შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და განყოფილების წევრებისაგან. განსხვავებით წარმომადგენლობითი ორგანოებისაგან, აღმასრულებელ ორგანოებში არაა სავალდებულო მხოლოდ დელეგატებისაგან იყოს დაკომპლექტებული, თავად განყოფილების გადაწყვეტილებით შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული პირი ჩაერთოს მის მუშაობაში. განყოფილებას თავისი კურატორები (წარმომადგენლები) ჰყავს ფაკულტეტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა პროექტის ორგანიზებას და კონტაქტს ცენტრთან (განყოფილებასთან) საფაკულტეტო დონეზე.

განყოფილების უფლებამოსილებებს მიკუთვნებულ საკითხთა ნაწილი შესაძლოა კოლეგიურად იყოს გადასაწყვეტი, ასეთ შემთხვევაში განყოფილებაში შემავალ სტუდენტთა ხმების მიმართ მოქმედებს ორი მიდგომა. ზოგიერთ შემთხვევაში სათათბირო ხმის უფლება გააჩნიათ განყოფილების იმ წევრებს, რომლებიც თვითმმართველობის დელეგატები არიან[63], ხოლო ზოგჯერ კი განყოფილების ნებისმიერ წევრს, მიუხედავად მათი სტატუსისა თვითმმართველობაში. განყოფილების სხდომების ჩატარებასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ წვრილმანებს შესაძლებელია განსაზღვრავდეს თვითმმართველობის დებულება, თუმცა დასაშვებია თუკი ეს პრაქტიკით ან თვითმმართველობის მიერ სპეციალურად დადგენილი წესით მოწესრიგდება.

დასაშვებია კონკრეტული პროექტის, ან ვიწრო პროფილის საქმიანობის, ღონისძიებისათვის, რომელთა განმეორებით განხორციელებაც შემდგომში კვლავაცაა დაგეგმილი, შეიქმნას

---

[63] იხ: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების 44-ე მუხლი პირველი პუნქტი

ცენტრი ან კლუბი.[64] ამ შემთხვევაში კლუბი (ცენტრი ან ნებისმიერი სხვა) დაექვემდებარება იმ განყოფილებას, რომლის საქმიანობასაც მიეკუთვნება კლუბის პროექტი თუ ღონისძიება, თუმცა ეს არ გამორიცხავს მის დამოუკიდებელ შიდაორგანიზაციულ მოწყობას სტრუქტურას, რაც მისი შექმნის შესახებ სპეციალურ აქტში უნდა იყოს აღნიშნული.

სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობის შიდაორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის იქმნება ერთი ან რამდენიმე სამსახური. უმრავლეს შემთხვევაში იქმნება შემდეგი სამსახურები:

- იურიდიული (სამართლებრივ საკითხთა)
- საფინანსო
- საზოგადოებასთან ურთიერთობის

ძირითადად ამ სამი მიმართულებით ხდება თვითმმართველობის საქმნიანობის ორგანიზაციული მხარდაჭერა, თუმცა შესაძლებელია მათი ფუნქციები კიდევ რამდენიმე ან პირიქით მხოლოდ ერთ სამსახურზე იყოს გადანაწილებული.

აუცილებელია თვითმმართველობის საქმიანობა იყოს გამართული როგორც სამართლებრივი, ისე ფინანსური კუთხით, თუმცა ამ უკანასკნელს ისედაც უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი სამსახური, ამიტომაც შესაძლებელია ფინანსური საკითხები იურიდიული სამსახურის კომპეტენციას მიაკუთვნონ, რაც სრულიად ლოგიკურია.

გარდა უშუალოდ ორგანიზაციული კუთხისა, მიზანშეწონილია განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი სტუდენტობამ პოტენციურმა ამომრჩეველმა, უწყოდეს. ამ შემთხვევაში ამას უფრო საკუთარი ამომრჩევლისათვის მაქსიმალურად დაწვრილებითი და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მოტივაცია უდევს საფუძვლად, თუმცა ღონისძიებათა რეკლამირებისა და

---

[64] მაგალითად: ინტელექტუალური თამაშების ორგანიზება-ჩატარებისათვის ინტელექტკლუბი; დებატების ჩემპიონატისათვის დებატკლუბი და ა.შ.

თავად თვითმმართველობის პოპულარიზაციის დანიშნულების მიზანიც არაა მეორეხარისხოვანი.

§3. ხელმძღვანელობა და მესამე პირებთან ურთიერთობა

სტუდენტთა თვითმმართველობის ხელმძღვანელობა და მესამე პირებთან ურთიერთობა თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილებაა.[65] იგი სტუდენტთა თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირია,[66] რომელიც ანგარიშვალდებულია თვითმმართველობის საერთო კრების წინაშე.

თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ, ახალი მოწვევის თვითმმართველობის პირველივე სხდომაზე, ფარული კენჭისყრით. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კენჭისყრის ფარულობა მეტი დემოკრატიულობისა და ნების თავისუფლად გამოვლენის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა. ფარული კენჭისყრა თავის მხრივ გულისხმობს კანდიდატთა წინასწარ რეგისტრაციასა და ბიულეტენების მომზადებას, თუმცა ამის გამო არ შეიძლება ზედმეტი ვადები დაწესდეს რეგისტრაციისათვის. კანდიდატთა რეგისტრაცია ცესკოს მიერ არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებისთანავე უნდა დაიწყოს და პირველ სხდომამდე არაუგვიანეს ერთი დღისა უნდა დამთავრდეს. ოქმის გამოქვეყნებამდე რეგისტრაციის დაწყება ფიზიკურად ვერ განხორციელდება, ვინაიდან დარეგისტრირების მსურველი სტუდენტი ახალი მოწვევის დელეგატი უნდა გახლდეთ. რე-

---

[65] პრეზიდენტის ნაცვლად შესაძლებელია ხელმძღვანელი იწოდებოდეს როგორც „თავმჯდომარე" ან „ხელმძღვანელი", აღნიშნული თავად სტუდენტური თვითმმართველობის გადასაწყვეტია, ვინაიდან ამის თაობაზე „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით რაიმე შეზღუდვა დადგენილი არაა.

[66] იხ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების 23-ე მუხლი.

გისტრაციის პროცედურები უნდა იყოს განსაზღვრული არჩევ-ნების დებულებით.[67]

პრეზიდენტად არჩევის მსურველი პირისათვის შესაძლებელია თვითმმართველობის დებულებით განისაზღვროს სხვადასხვა ცენზი. აქვე უნდა აღვნიშნოთ საარჩევნო სამარ-თალში ზოგადად გავრცელებული რამდენიმე ცენზი, რომელთა გამოყენებაც სტუდენტთა თვითმმართველობის შენთხვევაში არამიზანშეწონილი და გაუმართლებელი იქნება, ესენია ასაკობ-რივი, და განათლების ცენზები.

კანდიდატად დარეგისტრირების მსურველისთვის დაუშვე-ბელია რაიმე ასაკობრივი ცენზის განსაზღვრა. ვინაიდან სტუ-დენტთა ასაკი ძირითადად 16-17 წლიდან იწყება, შესაბამისად თუკი ამ წლოვანების პირი დელეგატი გახდება, მას არ უნდა შე-ეზღუდოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის პასიური საარჩევნო უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თანასწორობის უფლების პირდაპირი დარღვევაა.

ანალოგიური შემთხვევა გვექნება სახეზე, თუკი დაწესდება განათლების ცენზი, ვთქვათ ბაკალავრის ხარისხის სავალდე-ბულოობა, ან მაგისტრატურის სტუდენტების არჩევის აკრძალვა და ასე შემდეგ, ვინაიდან მსგავსი აკრძალვებიც პირდაპირ ხელყოფს თანასწორობის ძირითად უფლებას.

გავრცელებული წესის თანახმად, თვითმმართველობის პრე-ზიდენტად შესაძლებელია აირჩეს თვითმმართველობის ქმედუ-ნარიანი, ნასამართლეობის არმქონე დელეგატი, რომელიც არ იკავებს რაიმე თანამდებობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციაში.[68]

---

[67] თუმცა შესაძლებელია თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევ-ნების პროცედურებს აწესრიგებდეს თვითმმართველობის დებულე-ბაც.

[68] შესაძლებელია თვითმმართველობის დებულება აწესებდეს დამატებით მოქალაქეობის ცენზს, უნივერსიტეტში შესაძლოა მოქალაქეობის არმქონე პირები ან უცხოეთის მოქალაქეებიც სწავლობდნენ, ამიტომაც უპრიანი იქნება თუკი ამგვარი აკრძალვა არ იარსებებს. თუმცა ეს თავად თვითმმართველობის გადა-საწყვეტია და უნივერსიტეტის ინტერნაციოლიზაციზეა დამოკი-დებული.

ქმედუნარიანობა[69] საყოველთაოდ გავრცელებული მოთხოვნაა თანამდებობაზე ასარჩევი პირის მიმართ, რადგანაც აუცილებელია იგი დამოუკიდებელ, გაცნობიერებულ და სრულფასოვან გადაწყვეტილებებს იღებდეს. რაც შეეხება ნასამართლობას[70], ესეც ლოგიკური მოთხოვნაა, ვინაიდან პრეზიდენტი საუბრობს სტუდენტური თვითმმართველობის სახელით, რომელიც უნივერსიტეტის მთელი სტუდენტობის არჩეულია და შესაბამისად თავის მხრივ წარმოადგენს კიდევაც ამ უკანასკნელს. რა თქმა უნდა, აუცილებელია მსგავსი დატვირთვის მქონე პირი უმწიკვლო რეპუტაციით გამოირჩეოდეს. ნასამართლეობა კი თავის მხრივ დანაშაულთანაა დაკავშირებული და აუცილებელია გარკვეული პერიოდის გასვლა, რათა მოხდეს პირის სრული დაბრუნება რეინტეგრაცია საზოგადოებაში (რესოციალიზაცია).

თანამდებობრივი შეუთავსებლობა მსგავსია დელეგატის შემთხვევაში, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, თუმცა განსხვავებით რიგითი დელეგატისაგან, თვითმმართველობის პრეზიდენტს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. შესაბამისად მეტია რისკი იმისა, რომ თუკი პრეზიდენტი ადმინისტრაციის თანამშრომელი იქნება, ადმინისტრაციის შესაძლებლობა მიეცემა ჩაერიოს თვითმმართველობის საქმიანობაში.

პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევისთანავე. არჩევად მიიჩნევა ცესკოს მიერ საერთო კრებისადმი პრეზიდენტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გაცნობა. რაც შეეხება უფლებამოსილების შეწყვეტას, აქ რამდენიმე საფუძველი უნდა გამოვყოთ:

---

[69] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი, საპარლამენტო უწყებანი 31, 1997 წ, 786-IIს; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 43-46; ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადად ნაწილში, თბილისი, 2000, 150-156

[70] იხ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 4 (48) , 1999წ, 2287-რს; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2010, 300-310; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებიასა და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 42-427

- უფლებამოსილების ვადის ამოწურვა, რაც დაკავშირებულია ახალი პრეზიდენტის არჩევასთან.

- დელეგატის სტატუსის შეწყვეტა

- იმპიჩმენტის პროცედურით მისი თანამდებობიდან გადაყენება

დელეგატის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები, რომლებზეც უკვე გვქონდა საუბარი, ავტომატურად პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველიცაა, ვინაიდან პრეზიდენტის სტატუსი პირდაპირ დაკავშირებულია დელეგატობასთან.

რაც შეეხება იმპიჩმენტის პროცედურას, ამ შემთხვევაში თვითმმართველობის საერთო კრება, დებულების შესაბამისად, განიხილავს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების გადაცდომის საკითხს და კენჭს უყრის მისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს. თუკი თვითმმართველობას გააჩნია შიდაორგანიზაციულ სტრუქტურაში მაკონტროლებელი ორგანო, როგორც წესი, ისიც ჩართულია იმპიჩმენტის პროცედურაში და დებს კვალიფიციურ დასკვნას პრეზიდენტის გადაცდომასთან დაკავშირებით. იმპიჩმენტის პროცედურული საკითხები თავად თვითმმართველობის მოსაწესრიგებელია, თუმცა აუცილებელია გათვალისწინებული იყოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და თავად პროცედურა არ იყოს წარმოუდგენლად რთული, ფაქტობრივად განუხორციელებადი.

პრეზიდენტისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას ჩანაცვლების ორი მოდელი არსებობს: პირველის თანახმად, იქმნება დროებითი კომისია და უმოკლეს ვადებში ტარდება პრეზიდენტის ახალი არჩევნები, ხოლო მეორის თანახმად, პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ასევე არჩეულია საერთო კრების მიერ. ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს წყვეტას, ვინაიდან ხდება ავტომატური ჩანაცვლება, ხოლო ეს უკანასკნელი საერთო კრებას წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტობის ახალ კანდიდატს. მეორე მოდელი გაცილებით ეფექტური და მოქნილია, რის გამოც სწორედ მას ანიჭებს უპირატესობას სტუდეტთა თვითმმართველობების უმრავლესობა.

თვითმმართველობის პრეზიდენტი აღჭურვილია აღმასრულებელი უფლებამოსილებებით, რათა უზრუნველყოს თვითმმართველობის საქმიანობის გამართულობა და სხვადასხვა ორგანოთა მუშაობის კოორდინაცია. დებულების მიხედვით პრეზიდენტს სხვადასხვა თვითმმართველობაში განსხვავებული უფლებამოსილებები შეიძლება გააჩნდეს, თუმცა არსებობს საყოველთაო უფლებები, რომლებიც საერთო მახასიათებელია ყველასათვის: საერთო კრების თავმჯდომარეობა და მისი სხდომების მოწვევა, ხელმძღვანელობა-წარმართვა, მესამე პირებთან ურთიერთობაში თვითმმართველობის წარმოდგენა, ოფიციალურ დოკუმენტაციებზე, ხელშეკრულებებსა და საერთო კრების სამართლებრივ აქტებზე ხელის მოწერა, საპატიო წევრის სტატუსის მინიჭება და ა.შ.

პრეზიდენტზეა მიბმული აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის წარმართვა, ასევე მათი დაკომპლექტება, თუმცა მნიშვნელოვანია სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებთან კონსულტაცია, რათა არ მოხდეს უფლებამოსილებათა სრული ცენტრალიზაცია, თავმოყრა ერთი პირის ხელში. პრეზიდენტი უფლებამოსილია გაათავისუფლოს თანამდებობიდან ნებისმიერი პირი, რომელიც დანიშნულია მის მიერ. აუცილებელია არსებობდეს რაიმე შემაკავებელი მექანიზმი, რომელიც ჩადებული იქნება დებულებაში და რეალურად ქმედითი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას მისცემს პირს საკუთარი უფლებების დასაცავად.

ფინანსების განკარგვისა და შემოსულ წინადადებათა, პროექტთა დაფინანსებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ პრეზიდენტი იღებს, თვითმმართველობის კომპეტენტურ ორგანოებთან კოსულტაციების შემდეგ. იგი წარუდგენს საერთო კრებას თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტს, ასევე მისი შესრულების ანგარიშს. საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია შექმნას დროებითი კომისიები, საორგანიზაციო ჯგუფები, რომლებიც მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთანავე წყვეტენ არსებობას, ვინაიდან ნებისმიერი მუდმივმოქმედი ორგანოს შექმნა, თუკი ეს პირდაპირ დებულებით არაა გათვალიწინებული, საერთო კრების განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება.

საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებას ან განკარგულებას.

პრეზიდენტს შესაძლოა გააჩნდეს გაცილებით მეტი ან პირიქით - ნაკლები უფლებამოსილება, სრულიად შესაძლებელია რომ მათი ამომწურავი ჩამონათვალი არც იყოს მოცემული დებულებაში. პრეზიდენტი დამატებით უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც, მართალია, დებულებაში მოცემული არაა, თუმცა არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კანონმდებლობას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებასა და სტუდენტთა თვითმმართველობის დებულებას.

უფლებამოსილებების საპირწონედ თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი ასევე ვალდებულებებითაა აღჭურვილი. იგი, როგორც **primus inter pares**,[71] სხვა დელეგატების მსგავსად ასევე ვალდებულია იცავდეს ყველა იმ მოთხოვნასს, რომელიც რიგითი წევრისთვისაა დებულებით განსაზღვრული. თუმცა სწორედ განსხვავებული სტატუსი განაპირობებს მისთვის დამატებითი ვალდებულების დაწესებას, რომელიც ძირითადად საერთო კრებისადმი სისტემატური მოხსენებებისა და ანგარიშის წარდგენას გულისხმობს.

§4. დებულება

სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება თვითმმართველობისთვის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტია, რომელსაც ამტკიცებს საერთო კრება. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მართალია ზოგად უფლებამოსილებებს უდგენს სტუდენტთა თვითმმართველობებს, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს დებულების შესაბამისად. სწორედ ამ სამოქმედო დოკუმენტით

---

[71] პირველი თანასწორთა შორის - გავრცელებული აღნიშვნა სამართლებრივი მდგომარეობისა, რომელიც ძველ რომში პრინცესის მიმართ არსებობდა.

უნდა იყოს განსაზღვრული და დაწვრილებით მოცემული თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განხორციელების გზები.

დებულების მიღებაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სტუდენტთა თვითმმართველობის ყველა წევრი. საერთო კრება შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას[72], ასევე მასში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტს. აღნიშნული წესი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ყოველი ახალი მოწვევის თვითმმართველობა ახალ დებულებას იღებს, უბრალოდ კანონის ამგვარი დანაწესი ხაზს უსვამს დებულების მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოს საერთო კრებას, რომელშიც აბსოლუტურად ყველა დელეგატი ერთიანდება.

დებულების პროექტის შემუშავებისთვის საერთო კრებამ შესაძლოა შექმნას სპეცილური კომისია, ასევე მოიწვიოს ექსპერტები, თუმცა აუცილებელია დელეგატებიც უშუალოდ ღებულობდნენ ამ პროცესებში მონაწილეობას. პროექტი წარედგინება საერთო კრებას დასამტკიცებლად. რაც შეეხება სავალდებულო ვოტუმს, რომლითაც დებულება მტკიცდება, მის შესახებ ერთიანი მიდგომა არ არსებობს. თვითმმართველობა თავად ადგენს ხმათა სავალდებულო რაოდენობას, თუმცა, როგორც წესი, იგი საერთო კრების სრული შემადგენლობის 2/3-ზე ნაკლები არაა, რაც განპირობებულია თავად დოკუმენტის მნიშვნელობით.

დებულება დამტკიცების შემდეგ გადაეცემა თვითმმართველობის პრეზიდენტს, რომელიც ხელს აწერს მას. სასურველია, დამტკიცებული დებულება გამოქვეყნდეს.[73] ზოგიერთ სახელმწიფოში დადგენილია სტუდენტთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების წესი უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომად-

---

[72] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

[73] ამ შემთხვევაში მისაღებია დამტკიცებული დებულება გამოიკრას უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რათა საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა კი სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება გაეცნონ მას.

გენლობითი ორგანოს სენატის მიერ,[74] რათა დებულება გავრცელდეს არა მხოლოდ თვითმმართველობის შიგნით, არამედ მთელს უნივერსიტეტში შესაბამის ურთიერთობებზე.[75]

დებულება უნდა იყოს გამართული, ადვილად აღსაქმელი და ყველასათვის გასაგები, მართალია მასზე ვერ გავრცელდება ნორმატიული აქტების მიმართ მოქმედი სახელმწიფო სტანდარტები,[76] თუმცა, სასურველია იგი აკმაყოფილებდეს ზოგად მოთხოვნებს.[77] როგორც თვითმმართველობის ძირითადი დოკუმენტი, ის უნდა მოიცავდეს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ურთიერთობათა მოწესრიგების სამართლებრივ საშუალებებს,

---

[74] P. Georgieva, Higher education in Bulgaria, with the contributions of L. Todorova and D. Pilev, Monographs on Higher Education Bucharest, 2002, 80

[75] ამ მხრივ უმჯობესი იქნება თუკი „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამის მუხლში გაკეთდება დანაწესი, რომლის საფუძველზეც სტუდენტური თვითმმართველობის დებულებასა და მისი არჩევნების მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტს (საარჩევნო დებულება) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების შემდეგ განიხილავს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა. ამ უკანასკნელის მიერ დებულებების დამტკიცება გამოიწვევს მისი სავალდებულო ძალის გავრცელებას მთლიანად უნივერსიტეტზე, მათ შორის ადმინისტრაციაზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰიპოთეტურად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შეუძლია სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების სრული პარალიზება, რადგანაც მხოლოდ საერთო კრების მიერ დამტკიცებული საარჩევნო წესები მისთვის სავალდებულო ხასიათის მატარებელი არაა, შესაბამისად იგი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს არჩევნების დაფინანსებაზე, რაც თავის მხრივ სრულიად უმართავ სიტუაციას შექმნის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის.

[76] იხ: „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 33, 2009წ, 1876-IIს

[77] პ. ცნობილაძე, გ. ხუბუა, ვ. ხმალაძე, ნ. მეტრეველი, ო. კაპანაძე, როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000, 293; გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 125-129; დ. გეგენავა, სამართლებრივი ენა - ქართული სამართლებრივი კულტურის კატალიზატორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 92 წლისთავისადმი მიძღვნილი 70-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტთა შრომები, თბილისი, 2010, 13-14

ასევე თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებებსა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სტუდენტთა თვითმმართველობის გამართული დებულება სასურველია შედგებოდეს შემდეგი შინაარსის თავებისგან[78]:

- თავი I მოცემულია ზოგადი დებულებები, ჩამოყალიბებულია სტუდენტთა თვითმმართველობის ცნება, სტატუსი, ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც ეს ინსტიტუტი ეყრდნობა, ასევე მისი ზუსტი მისამართი, დამოკიდებულება უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებასთან. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ამავე თავში განთავსდეს ტერმინთა განსაზღვრებები, რაც მიზაშეწონილიცაა, ვინაიდან დებულება განკუთვნილი არაა მხოლოდ იურისტებისათვის, ამიტომაც მასში მოცემული ცნებები ყველასათვის იოლად აღქმადი უნდა იყოს.

- თავი II მომდევნო თავში აუცილებელია თავად სტუდენტთა თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები იყოს განსაზღვრული. მართალია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აყალიბებს ზოგად უფლებამოსილებებს, თუმცა თვითმმართველობამ უნდა ჩამოაყალიბოს დამატებითი მიზნები, რომლებიც მას, როგორც კონკრეტული უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობას შეიძლება ჰქონდეს დასახული. აქვე უნდა იყოს აღნიშნული დაფინანსების საშუალებები და საქმიანობის განხორციელების გზები.

- თავი III სტუდენტთა თვითმმართველობის წევრის დელეგატის სტატუსი, მისი უფლებები, ვალდებულებები, ასევე უფლებამოსილების წარმოშობისა და ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები, უფლებამოსილების ვადა, საპატიო წევრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტატუსის მინიჭების წესი.

- თავი IV სტუდენტთა თვითმმართველობის შიდაორგანიზაციული მოწყობა სტრუქტურა. აუცილებელია

---

[78] ამგვარი სტრუქტურა იურიდიული ტექნიკის მოთხოვნებითა და სტანდარტებითაა განპირობებული, თუმცა მათი არდაცვა არ აკნინებს დებულების, როგორც ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტის მნიშვნელობას, რადგან ის, თუ როგორ მოაწყობს თავის სტრუქტურას და რისი გათვალისწინებით შეადგენს დებულებას, თავად სტუდენტთა თვითმმართველობის გადასაწყვეტია.

აღნიშნული იყოს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სახელწოდებები და მათი ფუნქციური გამიჯვნა, ასევე თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობები და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირების ოფიციალური ტიტულატურა.

- თავი V თვითმმართველობის ორგანოთაგან უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთო კრებაზე, რომელიც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა თვითმ-მართველობაში. თავში უნდა აღინიშნოს მისი შიდა სტრუქტურა, დაკომპლექტების წესი, სხდომების მოწვევის სიხშირე, მორიგი და რიგგარეშე სხდომების მოწვევაზე უფლებამოსილი პირები, მიმდინარეობა, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და ქვორუმი, საერთო კრების უფლებამოსილებები, ასევე ვალდებულებები, თუკი ამ უკანასკნელს გაითვალისწინებს დე-ბულება.

- თავი VI საერთო კრების მომდევნო თავში განისაზღვრება თვითმმართველობის პრეზიდენტთან დაკავშირებული საკით-ხები: პრეზიდენტის არჩევა, ცენზები, უფლებამოსილების ვადა და ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები, ჩანაცვლების გზები, უფ-ლებამოსილებები, ვალდებულებები, ურთიერთობა თვითმ-მართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგა-ნოებთან, პრეზიდენტის მოადგილის (ვიცე-პრეზიდენტის) ფუნ-ქციები, ასევე იმპიჩმენტის პროცედურა.

- თავი VII ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები, სხდომების მოწვევა, წარმართვა და გადაწყვეტილებების მიღე-ბასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, ასევე საფა-კულტეტო საბჭოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები, ურთიერთობა თვითმმართველობის ცენტრალურ ორგანოებთან, კომპეტენციათა გამიჯვნა ცენტრალურ და საფაკულტეტო დო-ნეზე და სხვ.

- თავი VIII ცალკე თავით უნდა იყოს მოწესრიგებული თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობა. განყოფილებები, სამსახურები, ცენტრები, კლუბები მათი უფ-ლებამოსილებები, ვალდებულებები, დაკომპლექტებისა და და-თხოვნის წესი, მათზე დაკისრებული მისია და ამოცანები. აქვე

უნდა განისაზღვროს დროებით ორგანოთა შექმნისა და მათთვის სამოქმედო პროგრამის განსაზღვრის წესი.

- თავი IX თუკი თვითმმართველობას გააჩნია შიდა კონ-ტროლის მექანიზმი და მისი განმახორციელებელი ორგანო, აუცილებელია მისთვის განკუთვნილი იყოს ცალკე თავი, რომელიც განსაზღვრავს მასთან დაკავშირებულ საკითხებს ზედმიწევნით დაწვრილებით, განსაკუთრებით კი თვითმ-მართველობის ორგანოთა საქმიანობის შემოწმებისა და შესა-ბამისი დასკვნის მომზადების წესს.

- თავი X უკანასკნელი თავი უნდა ეთმობოდეს გარდამავალ და დასკვნით დებულებებს, რომლებითაც განისაზღვრება დებუ-ლების ამოქმედებასთან, ასევე შესაძლო ცვლილებებსა და გარდაქმნებთან დაკავშირებული საკითხები.

როგორც უკვე აღინიშნა, დებულება სტუდენტური თვითმ-მართველობის მთავარი დოკუმენტია. მისი შესრულება სავალ-დებულოა როგორც თვითმმართველობის წევრებისთვის, ისე მასთან ურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირისათვის. შესაბამისად, არათუ სასურველი, არამედ სავალდებულოა მისი პროექტის შემუშავებასა და შემდგომ დამტკიცებაში მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტობა იყოს ჩართული. დებულება, როგორც თვითმმართველობის იერარქიით უმაღლესი იური-დიული დოკუმენტი, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლეს სტანდარ-ტებს, იყოს გამართული და დახვეწილი.

§5. სამართლებრივი აქტები

სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება შესაძლებელია ითვალისწინებდეს მისი ორგანოების მხრიდან შიდაორგა-ნიზაციული მნიშვნელობის მქონე სამართლებრივ აქტთა გამო-

ცემას. თვითმმართველობაზეა დამოკიდებული კონკრეტულ ორგანოს მიანიჭებს თუ არა უფლებამოსილებას გამოსცეს აქტი.[79]

ნებისმიერ სტუდენტურ თვითმმართველობაში სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უფლებამოსილია საერთო კრება, პრეზიდენტი და საფაკულტეტო საბჭო, ვინაიდან სწორედ ამ ორგანოების საქმიანობაში გამოიხატება თვითმმართველობაზე დაკისრებული ამოცანების შესრულება, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს სამსახურების, განყოფილებების მხრიდან აქტის გამოცემის შესაძლებლობას, თუკი ამგვარს ითვალისწინებს დებულება.

საერთო კრება იღებს დადგენილებებს. დადგენილების მიზნიდან და ფუნქციიდან გამომდინარე, დებულებით განისაზღვრება ქვორუმი. რიგითი დადგენილებები, რომლებიც საერთო კრების ტიპურ უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის მიიღება, საჭიროებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობას, თუმცა, როგორც წესი, არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-სა. პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, მაკონტროლებელი ორგანოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ დადგენილება მოითხოვს გაცილებით მაღალ ქვორუმს, ისევე, როგორც იმპიჩმენტის საკითხი, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და ა.შ.

მსგავსია საფაკულტეტო საბჭოს მიერ დადგენილების მიღების წესი, განსხვავებულია მხოლოდ საკითხთა წრე, რომელთა თაობაზეც მიიღება დადგენილება და ამისთვის აუცილებელი ხმათა სავალდებულო რაოდენობის მინიმალური ზღვარი.

პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებებს ან განკარგულებებს. უმრავლეს შემთხვევაში მისი სამართლებრივი აქტი ბრძანებად იწოდება, თუმცა არ არსებობს არანაირი შეზღუდვა სახელწოდებასთან დაკავშირებით, ეს თავად თვითმმართველობის მიერ

---

[79] რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საუბარი არაა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ან ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, უბრალოდ ცნება „სამართლებრივი აქტი“ კრებითი სახელის მნიშვნელობით გამოიყენება თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა წერილობითი აქტების მიმართ.

გადასაწყვეტია კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული ენობრივ-სამართლებრივი კულტურის გათვალისწინებით.

რაც შეეხება სხვა ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, უმჯობესია მათ არ ჰქონდეთ სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილება და ეს განხორციელდეს პრეზიდენტის ბრძანების გამოცემის გზით. ნებისმიერი ზედმეტი აქტი გადატვირთავს და არამიზნობრივად გაართულებს თვითმმართველობის საქმიანობას.

სასურველია თვითმმართველობაში კონკრეტული ორგანო ასრულებდეს ე.წ. აქტების რეესტრის ფუნქციას, რათა მოხდეს ყველა დოკუმენტის სისტემატიზაცია, სამართლებრივი შემოწმება, დანომვრა და სათანადო წესით დახარისხება.

თვითმმართველობის აქტების გასაჩივრება საკმაოდ რთული საკითხია, ვინაიდან, ამას უნდა განსაზღვრავდეს „უმაღლესი განათლების შესახებ კანონი“, უნივერსიტეტის წესდება ან თავად მისი დებულება. თუმცა წესდება და დებულება ვერ მოვა წინააღმდეგობაში კანონთან, ამიტომაც გასაჩივრების საფუძველი უპირველეს ყოვლისა კანონში უნდა იყოს მოცემული. ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში კანონმდებლობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აღჭურავს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტებზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციით, მათ შორის მათი შეჩერებისა და გაუქმების უფლებამოსილებით.[80]

განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოში, ვინაიდან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ამგვარი უფლებამოსილების გამოყენება ნიშნავს თვითმმართველობის საქმიანობაში ჩარევას, რაც პირდაპირაა აკრძალული კანონით.[81]

დებულებით შესაძლებელია განისაზღვროს გასაჩივრების შიდა მექანიზმი, ამ შემთხვევაში ნებისმიერი გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იქნება საერთო კრებაში, როგორც

---

[80] იხ: Law on Higher Education of Poland, Art. 202 (7), Act of 27 July 2005

[81] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 45-ე მუხლის მე-4 პუნქტი , საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, მათ შორის იმ დადგენილებებისა, რომლებსაც თავად საერთო კრება იღებს. თუკი დადგინდება გასაჩივრების შიდა მექანიზმი, აუცილებელია დაწვრილებით განისაზღვროს გასაჩივრების ვადები და უფლება-მოსილი ორგანო(ები), ასევე სხვა პროცედურული საკითხები.

თავი VI. თვითმმართველობის მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში

თვითმმართველობის მიზნებზე საუბრისას ორი ძირითადი მიზანი გამოვყავით, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ სტუდენტთათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა გახლდათ.[82] ორგანიზაციული მოწყობის მხრივ, სტუდენტური თვითმმართველობა სწორედ სტუდენტების წარმომადგენელთა ისეთ გაერთიანებას გულისხმობს, რომლებიც იმავდროულად შედიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით ორგანოებში.[83]

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მართვაში როგორც ცენტრალურ, ისე საფაკულტეტო დონეზე. კანონმდებლობა, როგორც წესი, ადგენს მართვაში სტუდენტთა მონაწილეობის ძირითად პრინციპს,[84] ხოლო ის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს იგი პრაქტიკულად, უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული უნივესიტეტის წესდებითა და შესაბამისი აქტებით, თუმცა კანონმდებლობის სრული დაცვით.

მსოფლიოში გავრცელებულია განსხვავებული მიდგომები, თუ რა დოზით უნდა იყვნენ სტუდენტები წარმოდგენილები უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ მათი რაოდენობა არ უნდა იყოს უმნიშვნელო და მხოლოდ ფორმალური მონაწილეობისათვის დადგენილი. ამგვარ ზღვარს ადგენს ძირითადად კანონმდებლობა, თუმცა იშვიათ შემთხვევებში უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრი.

---

[82] იქვე, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

[83] იხ: P. Georgieva, Higher education in Bulgaria, with the contributions of L. Todorova and D. Pilev, Monographs on Higher Education Bucharest, 2002, 80

[84] იხ: Act on Universities (the University Act) of Denmark, Art. 12 (1), Art. 15, Act no. 403 of 28 May 2003; Universities Act of Finland, Section 12, 27 June 1997/645

§1. საფაკულტეტო დონე

ფაკულტეტის მართვაში სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტთა ჩართულობის დონე განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორაა თავად ფაკულტეტის საბჭო მოწყობილი. კერძოდ, როგორია მისი დაკომპლექტების წესი, რა პროპორციებითაა წარმოდგენილი მასში ფაკულტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. რეალურად გააჩნიათ თუ არა სტუდენტებს შესაძლებლობა იმისა, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაში, რეალურად იმოქმედონ გადაწყვეტილებაზე.

სტუდენტთა წარმომადგენლობის თვალსაზრისით, შესაძლებელია განვასხვავოთ ორი ტიპის ფაკულტეტის საბჭო: ფაკულტეტის საბჭო, რომელშიც სტუდენტური ქვოტით წარმოდგენილნი არიან მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატები და ფაკულტეტის საბჭო, რომელშიც ზემოთხსენებულ ქვოტას იკავებენ არამხოლოდ დელეგატები, არამედ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სხვა სტუდენტებიც. თითოეული მათგანის არსებობა დამოკიდებულია ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ოდენობაზე, ვინაიდან პირველ შემთხვევაში, როცა გვაქვს შედარებით მცირერიცხოვანი ფაკულტეტის საბჭო, მასში შესაძლებელია სტუდენტური თვითმმართველობის ფაკულტეტის საბჭოს არათუ სრული შემადგენლობა, არამედ დელეგატთა მხოლოდ ნაწილი იყოს წარმოდგენილი. განსხვავებულია მეორე ტიპი, რომლის წევრთა რაოდენობა საშუალებას იძლევა არა მხოლოდ საფაკულტეტო საბჭოს დელეგატები, არამედ ამ საბჭოს მიერ არჩეული სხვა წარმომადგენლებიც ჩაერთონ ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობაში.

საქართველოში გვაქვს ორივე ტიპის ფაკულტეტის საბჭოს მაგალითები, რაც განპირობებულია იმით, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი კონკრეტულად არ განუსაზღვრავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საბჭოს წევრთა რაოდენობას, არამედ აძლევს საშუალებას უნივერსიტეტს თავად გადაწყვიტოს თუ წარმომადგენლობის რომელ პრინციპს აირჩევს.

კანონის თანახმად: 1. ფაკულტეტის საბჭოში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები ან 2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები.[85] უნივერსიტეტების გადასაწყვეტია კონკრეტულად რომელ წესს აირჩევენ და განსაზღვრავენ თავიანთ წესდებებსა და ფაკულტეტების დებულებებში.

ფაკულტეტის საბჭოში სრულად ჰყავთ წარმოდგენილი აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს[86], საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტს[87], ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს[88] და სხვ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მიმართავს ერთდროულად წარმომადგენლობის ორივე მეთოდს და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის რაოდენობის მიხედვით განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტების წესს.[89]

მიუხედავად იმისა, თუ რომელ მეთოდს მიმართავს ესა თუ ის უნივერსიტეტი, არსებობს კანონის იმპერატიული მოთხოვნა, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პროპორცია ფაკულტეტის საბჭოში. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების

---

[85] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

[86] სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის ბრძანება 490-ით.

[87] სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება 100/ნ-ით.

[88] სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის ბრძანება 27/ნ-ით.

[89] სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლი, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 13 აგვისტოს ბრძანება 646-ით.

რაოდენობა არ უნდა იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.[90] მართალია ეს უკანასკნელი კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და აწესებს მინიმალურ სტანდარტს, თუმცა არაა გამორიცხული უნივერსიტეტი თავისი წესდებითა და ფაკულტეტი შესაბამისი დებულებით აწესებდეს გაცილებით მაღალ სტანდარტს, ვთქვათ, საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება უნივერსიტეტის შიდა მოწესრიგებას. კანონის მოთხოვნაა - დაცული იყოს მინიმალური ზღვარი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების უფლებები, შესაბამისად ამ პრინციპის დაცვით განხორციელებული ნებისმიერი სხვა ქმედება უნივერსიტეტების მხრიდან მხოლოდ მისასალმებელია.

ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტებს ნებისმიერ შემთხვევაში ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა იყოს შესაბამის სხდომის ოქმში მოცემული და წერილობითი ფორმით გადაეგზავნოს ფაკულტეტის საბჭოს.

ფაკულტეტის წევრ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობების წარმომადგენლებს გააჩნიათ ერთი და იგივე სამართლებრივი სტატუსი, თანაბარი უფლებამოვალეობები. დაუშვებელია ნებისმიერი სახის განმასხვავებელი ბარიერისა თუ წინაპირობის დადგენა. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს თანასწორობისა და კოლეგიურობის პრინციპების საფუძველზე.

§2. ცენტრალური (საუნივერსიტეტო) დონე

სტუდენტთა მონაწილეობა უნივერსიტეტის მმართველობაში გულისხმობს ასევე ცენტრალურ - საუნივერსიტეტო დონეს.

---

[90] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

საუნივერსიტეტო დონეზე მმართველობის განმახორციელებელი ორგანოებია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები.[91]

საერთო პრინციპის თანახმად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში აუცილებლად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი სტუდენტები, როგორც უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ამ შემთხვევაში მთავარი არაა რა ერქმევა ორგანოს, დაფიქსირდება თუ არა მასში წარმომადგენლობის იდეა, მთავარია აღნიშნული იდეა პრაქტიკულად იყოს განხორციელებული.[92]

სტუდენტების არჩევა საბჭოში ხდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის პროპორციულად.[93] „უმაღლესი განათლების" შესახებ კანონი ადგენს ზო-გად წესს, თუმცა კონკრეტული წესი სტუდენტების არჩევისა საბჭოში განისაზღვრება უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების წესდებით, ან შესაბამისი შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით, რომელთა შემუშავებაში ან დამტკიცებაში აუცილებლად მონაწილეობს თავად საბჭო.

კანონის თანახმად, თავად უნივერსიტეტი წყვეტს სტუდენტებისა და პროფესორების კონკრეტულ რაოდენობას საბჭოში, თუმცა იგი აწესებს ზოგად დებულებებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ამგვარ დანაწესთა შემუშავებისას: 1. სტუდენტთა რაოდენობა საბჭოში არ უნდა იყოს ერთ მესამედზე ნაკლები;[94] 2.

---

[91] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

[92] ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სახელითაა წარმომადგენლობითი ორგანოები ცნობილი: დანიაში ***საბჭო***, ფინეთი ***სენატი***, საბერძნეთი ***რექტორის საბჭო***, საქართველო ***წარმომადგენლობითი საბჭო*** და სხვ. იხ: Act on Universities (the University Act) of Denmark, Art. 12 (1), Act no. 403 of 28 May 2003; Universities Act of Finland, Section 12. 27 June 1997/645; A. Kyriazis, F. Asderaki, Higher Education in Greece, Translation and proof reading by A. Gouseti, Eirini Ageli, Monographs on Higher Education, Bucharest, 2008, 117; საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს

[93] იქვე, მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი

[94] იქვე, მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი

ის ასისტენტ-პროფესორები, რომლებიც იმავდროულად დოქ-ტორანტები არიან, არჩევნებში მონაწილეობას იღებენ როგორც სტუდენტები.[95]

ეს მოთხოვნები იმპერატიულია და აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველა უნივერსიტეტმა, რომელიც გადაწყვეტს კონკრეტულად მოაწესრიგოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის საკითხი. სტუდენტთა მონაწილეობა და წარმომადგენლობა საბჭოში არ უნდა იყოს სიმბოლური და მხოლოდ ფორმალიზმი. სტუდენტებს რეალურად უნდა გააჩნდეთ საშუალება ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე, კენჭისყრის შედეგებზე აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობაში. ამიტომაც დადგენილია მინიმალური რაოდენობა საბჭოს 1/3, რასაც უნდა შეადგენდნენ სტუდენტები.[96] აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ სწორედ ეს მინიმუმია დადგენილი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მოწვევისათვის,[97] რაც უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტთა ნამდვილი ჩართულობისა და უფლებამოსილებების პრაქტიკული განხორციელების კიდევ ერთი გამოვლინებაა.

ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობა შე-იძლება დაიკავოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა ან დოქტორანტმა.[98] დოქტორის შემთხვევაში ყველაფერი ნათე-ლია, იგი მხოლოდ აკადემიური პერსონალის სტატუსის მატარე-ბელია, თუმცა პრობლემურია დოქტორანტი ასისტენტ-პროფე-სორი, ვინაიდან აკადემიური პერსონალის სტატუსთან ერთად იგი იმავდროულად სტუდენტის სტატუსსაც ითავსებს, რადგანაც დოქტორანტი დოქტორანტურის საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტია. ამ შემთხვევაში კანონმდებელმა გამოძებნა ზუსტი მოწესრიგება და დაადგინა, რომ ამგვარი სტატუსის მქონე ასისტენტ-პროფესორები წარმომადგენლო-ბითი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ, როგორც

---

[95] იქვე
[96] იქვე
[97] იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი
[98] იქვე, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი

სტუდენტები ანუ როგორც სტუდენტები გამოიყენებენ თავი-ანთ აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემ-დგომში „სტუდენტური თვითმმართველობა“) უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოა, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ.

2. სტუდენტური თვითთმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

მუხლი 2.

სტუდენტური თვითთმმართველობა შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით არჩეული (X) დელე-გატისაგან.

მუხლი 3.

სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების გან-ხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან

დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემ-
თხვევებისა.

მუხლი 4.

სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, (თვითმმართველი ერთეული), (ქუჩა, გამზირი) (უნივერსიტეტის შესაბამისი კორპუსი და ოთახი).

მუხლი 5.

სტუდენტურ თვითმმართველობას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შესაძლებელია გააჩნდეს საკუთარი ბეჭედი, შტამპი, საანგარიშგებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და დებულებით გათვალისწინებული სხვა ატრიბუტიკა.

მუხლი 6.

1. წინამდებარე დებულება შესასრულებლად სავალდებულოა სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრისა და თვითმმართველობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისათვის.
2. სტუდენტური თვითმმართველობის ნებისმიერი სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე დებულებას.

თავი II

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები
და უფლება-მოვალეობები

მუხლი 7.

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;

გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;

დ) დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;

ე) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;

ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, დახმარება გაუწიოს სახელმწიფოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;

ზ) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება.

მუხლი 8

სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და წარმოადგენს მათ მესამე პირებთნ ურთიერთობაში;

ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე წყვეტს სასწავლო

პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებს;

დ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს ან/და აკადემიურ საბჭოს;

დ) პერიოდულად ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას სტუდენტებთან ურთიერთობის მიმართულებით და შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოსა ან/და წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

ვ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო ინტერესების განხორციელების პროცესში;

ზ) თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრევე გაერთიანებებთან;

თ) გააჩნია კავშირი საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;

ი) სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელებაც არ ეწინააღმდეგება კანონს.

მუხლი 9.

სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი და სპეც-სახსრებიდან მიღებული შემოსავალი;

ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

გ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება, რომლის მართვაც ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

დ) სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

თავი III

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი

მუხლი 10.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული სტუდენტი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის თავისი ფაკულტეტის წარმომადგენელი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად და მისი გაწვევა დაუშვებელია.

3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება აირჩეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

მუხლი 11.

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

მუხლი 12.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული საერთო კრების პირველი შეკრებისთანავე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

დ) უნივერსიტეტის წესდების ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;

ე) არასაპატიო მიზეზით, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ სამი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ზ) გარდაცვალება.

მუხლი 13.

დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს პირი, რომელმაც შესაბამის საარჩევნო უბანზე ვერ მიიღო არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა და რომლის შედეგებიც აღემატება სხვა კანდიდატთა შედეგებს.

მუხლი 14.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშობაში;

ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;

გ) აირჩიოს და თავად აირჩიონ სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

დ) დაიკავოს სტუდენტურ თვითმმართველობაში ნებისმიერი თანამდებობა, ამისათვის დადგენილი წესით;

ე) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;

ვ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს და განახორციელოს ისინი;

ზ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;

თ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;

ე) დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების, ფაკულტეტისა და საფაკულტეტო საბჭოების სხდომებს.

მუხლი 15.

1. სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი, რომელსაც არ გააჩნია სათათბირო ხმის უფლება.

2. საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

თავი IV

სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

მუხლი 16.

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოები;

დ) სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურები.

მუხლი 17.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება და საფაკულტეტო საბჭოები სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებია.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, და სამსახურები სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებია.

3. სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მაკონტროლებელი ორგანოა.

თავი V

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება

მუხლი 18.

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მმართვე-

ლობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა დელეგატისაგან.

მუხლი 19.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება იკრიბება წელიწადში ორჯერ მაინც.
2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მოწვევის თარიღს განსაზღვრავს და შესაბამის დღის წესრიგს ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებს ეცნობება საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღით ადრე.

მუხლი 20.

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, დელეგატების არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით.

მუხლი 21.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
3. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.

მუხლი 22.

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:

ა) სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას, ამავე უმრავლესობით შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს;

გ) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტს;

დ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტებს;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარეს;

ვ) ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყვეტს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს;

ზ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დადგენილებებს, რომლებსაც ხელს აწერს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

თ) ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და ამ დებულებას.

თავი VI

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

მუხლი 23.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუ-დენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება საერთო კრების სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთი-ერთობებში.

მუხლი 24.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდი-დატურის დაყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმართვე-ლობის დელეგატების არანაკლებ 1/5-ს.

მუხლი 25.

1. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს ინიშნება მეორე ტური, რომელშიც კენჭი ეყრება ორ საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატს.
2. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაო-დენობა, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.
3. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობს ერთი კანდიდატი, რომელიც ვერ დააგროვებს არჩევისთვის ხმათა საკმარის რაოდენობას, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 26.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შეიძლება იყოს სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული დელეგატი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, ქმედუნარიანი, არ იკავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში რაიმე თანამდებობას და არ არის ნასამართლევი.

მუხლი 27.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.
2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს უწყდება უფლებამოსილება.

მუხლი 28.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
გ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;
დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
ე) გარდაცვალება.
2. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 29.

1. საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია დაიწყოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზი-

დენტის იმპიჩმენტის პროცედურა და დარღვევის ფაქტები გადაუგზავნოს მონიტორინგის სამსახურს. მონიტორინგის სამსახური 10 დღის ვადაში იკვლევს ფაქტებს, წერს დასკვნას და 5 დღის ვადაში მოიწვევს საერთო კრებას, რომელსაც აცნობს მიღებულ დასკვნას.

2. საერთო კრება კენჭს უყრის პრეზიდენტის გადაყენების საკითხს. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

მუხლი 30.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;

ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას;

გ) უძღვება საერთო კრების სხდომებს;

დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს;

ვ) ხელს აწერს საერთო კრებისა და აღმასრულებელი პალატის სამართლებრივ აქტებს;

ზ) ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს მოქმედი თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;

თ) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამატკიცებლად წარუდგენს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტს;

ი) განიხილავს პროექტებს და მათი დაფინანსების საკითს;

კ) განიხილავს ცალკეულ სტუდენტთა წინადადებებს და მათი დაფინანსების საკითხს;

ლ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;

მ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურებს;

ნ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარის კანდიდატურას;

ო) უფლებამოსილია გადააყენოს ვიცე-პრეზიდენტები და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სხვა პირები დაკავებული თანამდებობებიდან;

პ) აკომპლექტებს სამსახურების შემადგენლობას, ნიშნავს და ათავისუფლებს სამსახურების უფროსებს;

ჟ) აკომპლექტებს პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს და ნიშნავს მის თავმჯდომარეს;

რ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად ქმნის კომისიებს, რომლის წევრებსა და თავმჯდომარეებს ნიშნავს თავად;

ს) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს;

ტ) ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის საპატიო წევრის წოდებას;

უ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

მუხლი 31.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

ა) 6 თვეში ერთხელ საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ;

ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისთვის აუცილებელი მოთხოვნები.

მუხლი 32.

1. უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს ჰყავს ორი ვიცე-პრეზიდენტი.

2. პირველი ვიცე-პრეზიდენტი ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოვალეობების განხორციელებას საფაკულტეტო საბჭოების დონეზე და უზრუნველყოფს საფაკულტეტო საბჭოების კოორდინაციას. პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში პირველ ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელი მოაწეროს და გააფორმოს ოფიციალური ფინანსური და იურიდიული დოკუმენტები.

3. მეორე ვიცე-პრეზიდენტი ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოვალეობების განხორციელებას სამსახურების დონეზე და უზრუნველჰყოფს სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას.

თავი VII

სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო

მუხლი 33.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო არის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტიდან სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა დელეგატისაგან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს ხელმძღვანელობს საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა პრეზიდენტის წარდგინებით საფაკულტეტო საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 34.

1. საფაკულტეტო საბჭო იკრიბება არანაკლებ თვეში ერთხელ.

2. საფაკულტეტო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

3. საფაკულტეტო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

4. საფაკულტეტო საბჭოს სხდომებს უძღვება საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

5. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 35.

სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს მოიწვევს:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე საფაკულტეტო საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3-ის მოთხოვნით.

გ) თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით პირველი ვიცე პრეზიდენტი.

მუხლი 36.

სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო:

ა) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილ თავმჯდომარის 2 მოადგილეს;

ბ) ამტკიცებს თავმჯდომარის მიერ წარდგენილ სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს სხდომათა მდივანს;

გ) ირჩევს და ათავისუფლებს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და სხდომათა მდივანს დაკავებული თანამდებობებიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით;

დ) განიხილავს სტუდენტური თვითმმართველობის დებულების პროექტს;

ე) იღებს სტუდენტთა პროექტებსა და წინადადებებს, განიხილავს და მიზანშეწონილობის შემთხვევაში უგზავნის მათ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს;

ვ) ოპერატიულად წყვეტს სტუდენტური თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება ფაკულტეტზე და რომლებიც ითხოვს სწრაფ რეაგირებას;

ზ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებება ამ დებულებას.

მუხლი 37.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს შეკრება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

2. შესაძლებელია სხდომის ჩატარება ოქმის შედგენის გარეშე, თუკი საბჭო არ მიიჩნევს აუცილებლად მის გაფორმებას.

თავი VIII

სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურები

მუხლი 38.

სტუდენტური თვითმმართველობის სამსახური არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 39.

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, უფროსის მოადგილისა და დელეგატებისაგან, რომლებიც ახორციელებენ სამსახურის მართვას და რომელთაც სამსახურში სათათბირო ხმის უფლება გააჩნიათ, აგრეთვე, სხვა სტუდენტებისაგან,

რომლებიც არ წარმოადგენენ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებს.

2. სამსახურის უფროსს, უფროსის მოადგილესა და სამსახურში შემავალ დელეგატებს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

3. სამსახური უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. სამსახური გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 40.

1. სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურის სხდომათა სიხშირეს განსაზღვრავს თავად სამსახური და მას უძღვება სამსახურის უფროსი, მისი არყოფნის შემთხვევაში კი უფროსის მოადგილე.

2. სამსახურის რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) სამსახურის უფროსი თავისი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით მეორე ვიცე პრეზიდენტი.

მუხლი 41.

სტუდენტურ თვითმმართველობაში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილია შემდეგი სამსახურები:

ა) განათლებისა და მეცნიერების;

ბ) იურიდიული;

გ) კულტურის;

დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის;

ე) სპორტის;

ვ) სტუდენტთა უფლებების დაცვის;

ზ) ტურიზმის.

მუხლი 42.

განათლებისა და მეცნიერების სამსახური გეგმავს და აწყობს დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კონფერენციებს და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებს.

მუხლი 43.

კულტურის სამსახური გეგმავს და აწყობს თეატრალურ, კულტურულ, შემოქმედებით და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს, აგრეთვე შეხვედრებს სტუდენტური საზოგადოებისათვის სასურველ პიროვნებებთან.

მუხლი 44.

1. სტუდენტური თვითმმართველობის იურიდიული სამსახური ორგანიზებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა სამართლებრივი აქტების მომზადებას, მათ სისტემატიზაციასა და საჯაროობას, კონსულტაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებს სამართლებრივი აქტებისა და სხვა სახის დოკუმენტების მომზადებაში, სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებში გარკვევაში. თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, თაანამშრომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურს აკომპლექტებს და მის უფროსს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 45.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სტუდენტური თვითმმართველობის სახელით აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს, საჭიროების შემთხვევას მობილიზებას უწევს ჟურნალისტთა კორპუსს, სტუდენტურ საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს აც-

ნობს და რეკლამირებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, დაგეგმილ და ჩასატარებელ ღონისძიებებს.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აკომპლექტებს და მის უფროსს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 46.

სპორტის სამსახური აწყობს შეჯიბრებებს, ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში, თანამშრომლობს სპორტის დეპართამენტთან, აგრეთვე ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 47.

სტუდენტთა უფლებების დაცვის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, დარღვეული უფლებების აღდგენას, პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის შემოწმებას, ახორციელებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის სხვა აუცილებელ ღონისძიებებს.

მუხლი 48.

ტურიზმის სამსახური გეგმავს და აწყობს ექსპედიციებს, ლაშქრობებს, ექსკურსიებს, სტუდენტთა დასვენებისა და განტვირთვისათვის საჭირო, კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

თავი IX

სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური

მუხლი 49.

სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური არის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და ექვსი დელეგატისაგან (ყოველი ფაკულტეტიდან თითო) და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.

მუხლი 50.

მონიტორინგის სამსახურის წევრს არ შეიძლება ეკავოს სტუდენტურ თვითმმართველობაში რაიმე სხვა თანამდებობა.

მუხლი 51.

1. მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარეს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება.
2. მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარის მოადგილეს განკარგულებით ნიშნავს მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე.
3. მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე თითოეული ფაკულტეტიდან ნიშნავს თითო დელეგატს სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახურის წევრებად.

მუხლი 52.

1. მონიტორინგის სამსახური იკრიბება 2 თვეში ერთხელ მაინც.

2. მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

3. მონიტორინგის სამსახური გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 53.

განსაკუთრებულ ან ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონიტორინგის სამსახურის სხდომას მოიწვევს:

ა) მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით;

ბ) მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე, საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ან საერთო კრების მოთხოვნით.

მუხლი 54.

სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური:

ა) ახორციელებს ფინანსურ და სამართლებრივ კონტროლს;

ბ) ამოწმებს წინადადებებისა და პროექტის აღსრულებისათვის გათვალისწინებული ხარჯების აუცილებლობას;

გ) ზედამხვედველობს დაფინანსებული წინადადების ან/და პროექტისა მიმდინარეობას;

დ) ამოწმებს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტში არსებული ხარჯების მიზანშეწონილობას;

ე) ზედამხედველობს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან სახსრების მიზნობრივ გადინებასა და ხარჯვას;

ვ) აჯამებს დაფინანსებული წინადადების ან/და პროექტის საბოლოო შედეგებს;

ვ) ზედამხედველობს დელეგატების მიერ ამ დებულების დაცვას და მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებას;

ზ) ზედამხედველობს მართვის ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობებისა და ამ დებულების შესრულებას;

თ) განიხილავს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის მიმდინარეობისას, პრეზიდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დარღვევის ფაქტებს;

ი) 6 თვეში ერთხელ აწარმოებს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტაციის შემოწმებას;

მუხლი 55.

1. მონიტორინგის სამსახური თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, იღებს დადგენილებებსა და დასკვნებს, რომელთაც ხელს აწერს მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე.

2. მონიტორინგის სამსახურის თავმჯდომარე თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს განკარგულებებს.

თავი X

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 56.

დებულების ძალაში შესვლა

სტუდენტური თვითმმართველობის
პრეზიდენტის სახელი, გვარი, ხელმოწერა

თარიღი

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 1995 წ.
2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2, 10.01.2005, 668-რს
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 32(39), 1999 წ, 2181 Iის
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საპარლამენტო უწყებანი 31, 1997 წ, 786-IIს
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 4(48), 1999წ, 2287-რს
6. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 33, 2009წ, 1876-IIს
7. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 473 საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - 69, 10.06.2005
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის ბრძანება 490 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ.
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება 100/ნ სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ.
10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის ბრძანება 27/ნ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ.

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 13 აგვისტოს ბრძანება 646 სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ.
12. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის ბრძანება 581 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ.
13. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება
14. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულება
15. Act on Universities (the University Act) Act *no. 403 of 28 May 2003 Denmark*
16. Universities Act of Finland, 27 June 1997/645
17. Law on Higher Education of Poland, Act of 27 July 2005

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 92 წლისთავისადმი მიძღვნილი 70-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტთა შრომები, თბილისი, 2010
2. ო. მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2006, გამომცემლობა „უნივერსალი“
3. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2008, გამომცემლობა „ინოვაცია“
4. ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბილისი, 2002, გამომცემლობა „ფავორიტი“
5. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2010, გამომცემლობა „ “
6. პ. ცნობილაძე, გ. ხუბუა, ვ. ხმალაძე, ნ. მეტრეველი, ო. კაპანაძე, როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000, გამომცემლობა „აზრი“

7. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გამომცემლობა „მერიდიანი“.
8. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გურამ ნაჭყებიასა და ირაკლი დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, გამომცემლობა „მერიდიანი”
9. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გამომცემლობა „სამართალი“
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2002, გამომცემლობა „სამართალი“
11. Patricia Georgieva, Higher education in Bulgaria, with the contributions of Lucy Todorova and Deyan Pilev, Monographs on Higher Education Bucharest, UNESCO, 2002
12. Athanasios Kyriazis, Foteini Asderaki, Higher Education in Greece, Translation and proof reading by Anastasia Gouseti, Eirini Ageli, Monographs on Higher Education, Bucharest, UNESCO, 2008
13. Vasyl Kremen, Stanislav Nikolajenko Michael Stepko, Vyacheslav Bolyubash, Andrey Gurjiy, Michael Zgurovsky, Kazimir Levkivskyi, Volodymyr Petrenko, Higher Education in Ukraine, Bucharest, UNESCO, 2006
14. Bryan Bix, Law, Language and Legal Determinacy, Oxford-New York, 1993 (2003)
15. Старцев Я.Ю, Государственное и муниципальное управление в зарубежных странах, Курс лекций,
16. Муниципальное Право**,** Под редакцией ***А. М. Никитина,*** Москва, 2000, Юнити-Дана, Закон и право